# ანგარიში/ 2015

'15



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

# სარჩევი


5 წინასიტყვაობა

7 ღონისძიებები 2015

22 საერთაშორისო ურთიერთობები

28 კონფერენციები

30 სასაქონლო ნიშანი

32 გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

34 დიზაინი

36 გამოგონება და სასარგებლო მოდელი

38 მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები

40 საავტორო უფლებები

42 კანონშემოქმედება და სამართალწარმოება

44 საზოგადოებასთან ურთიერთობა

46 საგამომცემლო და საგანმანათლებლო საქმიანობა

47 ფინანსური ანგარიში

48 სტატისტიკური მონაცემები

62 სამოქმედო გეგმა 2016



გამომცემელი:
სსიპ  საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - საქპატენტი
(საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილება)
3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge
https://facebook.com/sakpatenti.ge/

‘15

# წინასიტყვაობა



ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის, 2015 წლის ანგარიშს. ანგარიშში სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად გაეცნობით დასახული პრიორიტეტებისა და მათი განხორციელების შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

2015 წელს განსაკუთრებით წარმატებულად შეიძლება შეფასდეს საქპატენტის საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე. კერძოდ, საქართველო, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), ცენტრალური აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (CACEEC) ჯგუფიდან გადავიდა ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნების (CEBS) რეგიონულ ჯგუფში. შესაბამისად, საქართველო, საერთაშორისო დონეზე, წარმოდგენილი იქნება, როგორც ევროკავშირის ქვეყნების ჯგუფის წევრი. აღნიშნულ ჯგუფში გადასვლა ხელს შეუწყობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინტელექტუალური საკუთრების სისტემის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

2015 წელს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია WIPO-ს გენერალური დირექტორი ფრენსის გარი. ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და WIPO-ს შორის ინტელექტუალური საკუთრების სფერო-ში თანამშრომლობის მემორანდუმს. ვიზიტის დროს, ხაზი გაესვა საქართველოს მთავრობის მზადყოფნას, გადაიდგას ყველა აუცილებელი სამართლებრივი თუ პროცედურული ნაბიჯი იმისათვის, რომ საქართველო აღიარებულ იქნეს ერთ-ერთ ისეთ ქვეყნად, რომელიც სათანადოდ იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას.

WIPO-ს და მასთან არსებული აკადემიის დახმარებით, საქპატენტთან შეიქმნა ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრი, რომელიც ამზადებს ინტელექტუალური საკუთრების სპეციალურ კურსებს, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის. ცენტრი, ასევე, მუშაობს რეგიონალურ პროგრამებზე, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო კურსების მომზადება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლები.

2015 წელს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქპატენტსა და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებას (EUIPO) შორის. მემორანდუმის ფარგლებში, ხორციელდება საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და დიზაინის მონაცემთა ბაზების ინტეგრაცია EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში. შედეგად, საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება EUIPO-ს ვებგვერდზე. გარდა ამისა, ადგილობრივ და საერთაშორისო მომხმარებლებს ექნებათ საშუალება, მონაცემთა ბაზებში TMView და DSView ძიება ჩაატარონ ქართული ინტერფეისის გამოყენებით. EUIPO, ასევე, დაეხმარება საქპატენტს სასაქონლო ნიშნების და დიზაინის სახელმძღვანელოების შემუშავებასა და ქართველი ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

2015 წელი ძალზედ ნაყოფიერი იყო აშშ-სთან თანამშრომლობის კუთხით. ამერიკის შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებაში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარა საქპატენტის 12-მა თანამშრომელმა. საქართველოში აშშ-ს საელჩოს, USAID-ის, CLDP-ის ორგანიზებითა და დახმარებით, განხორციელდა სხვადასხვა ღონის-ძიებები, რომელიც მიმართული იყო საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შემდგომი გაუმჯობესებისკენ.

2015 წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა სასაქონლო ნიშნის განაცხადების დაახლოებით 10%-იანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 20%-ით შემცირდა სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრების რაოდენობა, რაც წარმოადგენს იმ გატარებული ღონისძიებების შედეგს, რომელიც ზემოთ იქნა აღნიშნული და რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე წლიურ ანგარიშში.

საქპატენტი 2016 წელს გეგმავს გააგრძელოს აქტიური მუშაობა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებისთვის, რადგან ძლიერი ინტელექტუალური საკუთრების სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ წინაპირობას. 2015 წლის გამოწვევებს წარმატებით ვუპასუხეთ და მომავალ წელსაც ახალ მიღწევებს გაგიზიარებთ.

**ნიკოლოზ გოგილიძე - თავმჯდომარე**
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი

‘15

# ღონისძიებები

# ღონისძიებები/ 2015

## იანვარი

**15**



სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან.

**20**

მეკობრული CD და DVD პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მისი განხორციელების გზების დანერგვის მიზნით, ხმის ჩამწერი სტუდიების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. სტუდიების წარმომადგენლების განცხადებით, მეკობრული პროდუქციის გავრცელების ძირითადი წყარო ინტერნეტია.

**28**



დარეგისტრირდა ხუთი ახალი მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელება - „მიტარბი”, „სქური”, „უწერა”, „ბოლნისი” და „ზვარე”.

## თებერვალი

**5**

საქპატენტმა დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის საერთაშორისო კომერციული და არაკომერციული საპატენტო ბაზების გამოყენებით საპატენტო-საინფორმაციო მომსახურების გაწევა უფასოდ, რაც მეცნიერებსა და ინჟინრებს დაეხმარება, სრულად გაეცნონ მათი საქმიანობის სფეროებში არსებულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევებს და შეაფასონ, საკვლევი ობიექტის პატენტუნარიანობა.

**26**



შვიდ ქართულ ადგილწარმოშობის დასახელებაზე ყირგიზეთის საპატენტო უწყებამ სარეგისტრაციო მოწმობა გასცა. ახაშენის, წინანდალის, მუკუზანის, ნაფარეულის, ქინძმარაულის, ტვიშის და ხვანჭკარას დასახელებაზე განსაკუთრებული უფლება, ყირგიზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, „ღვინის ეროვნულ სააგენტოს“ მიენიჭა.

# მარტი

**3**




საქპატენტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში "Intellectual Property and Beyond", რომლის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ლატვიის საპატენტო უწყების ხელმძღვანელთან და განხილულ იქნა მომავალი თანამშრომლობის გეგმები (რიგა, ლატვია).

---

**5**



შედგა თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტი ესტონეთის ინტელექტუალური საკუთრების და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრში, ესტონეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა ესტონეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელთან (ტალინი, ესტონეთი).

---

**9**

კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საქპატენტის თანამშრომლები დაესწრნენ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების მიერ ორგანიზებულ სემინარს „სასაქონლო ნიშნები და დიზაინი", რომლის მიზანი იყო ინტელექტუალური საკუთრების ოფისის გამოცდილების გაზიარება (ალიკანტე, ესპანეთი).

---

**10**

შეიქმნა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო", რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხელშეწყობისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური სისტემის დანერგვა.

---

**12**



საქპატენტში გაიმართა შეხვედრა აშშ-ს ვაჭრობის მინისტრის მეორე მოადგილე მეთიუ მარისთან, რომელზეც განხილულ იქნა საქპატენტისა და აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის, სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) ფარგლებში თანამშრომლობის გაგრძელების საკითხი.

---

**16**



საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს სასაქონლო ნიშნების, დიზაინის და გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროს კანონმდებლობის მუდმივმოქმედი კომიტეტის მუშაობაში, რომელიც მიმართულია აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო კანონმდებლობის განვითარებასა და მასთან WIPO-ს წევრი ქვეყნების კანონმდებლობების ჰარმონიზაციისაკენ (ჟენევა, შვეიცარია).

---

**17**



გაიმართა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს" პირველი სხდომა, რომელზეც განისაზღვრა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის, აღნიშნული სფეროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, ინტერნეტ სივრცეში საავტორო უფლებების დარღვევის ასპექტები.

---

**19**

Hungarian Intellectua
Property Office

საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი შედგა უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში, რომლის მიზანი იყო უნგრეთის უწყების და მისი სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, საკოორდინაციო საბჭოს და კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საბჭოს მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

**23**

საქპატენტის ხელმძღვანელობის ვიზიტი შედგა ევროპის საპატენტო უწყებაში, ორწლიანი თანამშრომლობის პროგრამის განსახილველად, რომელიც მოიცავს ვალიდაციის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების, საპატენტო ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების, საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის და ფასიან ბაზებთან წვდომის საკითხებს (მიუნხენი, გერმანია).

**26**

WIPO-ს მიერ ორგანიზებულ მე-8 საერთაშორისო კონფერენციაში „ქალთა ინოვაცია და შემოქმედებითობა: დიზაინი ბიზნეს სტრატეგიაში“ მონაწილეობა მიიღო საქპატენტის ხელმძღვანელობამ, რომლის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრა პოლონეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელთან მომავალი თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით (ვარშავა, პოლონეთი).

**30**

ექსპერტებს შორის ცოდნის გაზიარებისთვის, საქპატენტის თანამშრომელი დაესწრო სემინარს „ინტელექტუალური საკუთრება და გენეტიკური რესურსები, ტრადიციული ცოდნა და ტრადიციული კულტურული გამოხატულებები: რეგიონული და ლოკალური გამოცდილებები“, რომლის მიმდინარეობისას გამოიკვეთა მთავრობათაშორისი კომიტეტის მუშაობის განახლების საჭიროება, რათა მოხდეს გენეტიკური რესურსების, ტრადიციული ცოდნის და ტრადიციული ფოლკლორული გამოხატულებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება (ჟენევა, შვეიცარია).

**31**



ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებულებმა საქპატენტის ექსპერტებს თავის გამოგონება „მულტიკლიმატიზატორი“ წარუდგინეს. მე-10 კლასის მოსწავლეების ირაკლი კაპანაძის და კარლო ხუციშვილის მოწყობილობას წინასწარი ძიება საქპატენტმა ჩაუტარა, რის საფუძველზეც შეფასდა მოწყობილობის პატენტუნარიანობის კრიტერიუმები.

## აპრილი

**3**




დაიწყო 26 აპრილის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კამპანია „ხმა აიმაღლე მუსიკისთვის“, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება, რომ მეკობრეობა და საავტორო უფლებების დარღვევა დასჯადი ქმედებაა.

**4**

„ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადის, რესპუბლიკურ ტურში, ჟიურის სტატუსით მონაწილეობა მიიღო საქპატენტის წარმომადგენელმა და სპეციალური პრიზებით დააჯილდოვა მონაწილეები.

**7**



საგამომგონებლო საქმიანობის წახალისებისა და მისი შედეგების კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, მემორანდუმი გაფორმდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებში, საქპატენტი უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევით სტრუქტურულ ერთეულებს და ლაბორატორიებს დაეხმარება საპატენტო-საინფორმაციო ძიების ჩატარებასა და ამ ძიების მეთოდიკების ათვისებაში.

**9**

საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო WIPO-ს რეგიონალურ სამუშაო შეხვედრას „ახალი ტიპის/არატრადიციული ნიშნების დაცვა - არსებული ვითარება და პრობლემები“, სადაც განიხილეს მსოფლიო პრაქტიკა არატრადიციული ნიშნების შესახებ (ბაქო, აზერბაიჯანი).

**17**

26 აპრილის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოების „ხმა აიმაღლე მუსიკისთვის“ კონკურსის გამარჯვებულად გამოცხადდა მამუკა (პეკე) ბეგაშვილის ნაწარმოები, რომელიც შეასრულა 20-მა ცნობილმა ქართველმა მომღერალმა. გამარჯვებული დაჯილდოვდა 1000 (ათასი) ლარით, მობილური ტელეფონით (სმარტფონი), მუსიკალური ნაწარმოები ჩაიწერა სტუდია „ბრავო რექორდსში“, გამოიცა CD-დისკზე და შეიქმნა ვიდეო რგოლი.

---

**18**



26 აპრილის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კამპანიის „ხმა აიმაღლე მუსიკისთვის“ ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა მუსიკოსებთან საავტორო უფლებების დაცვის თემაზე, სადაც განიხილეს საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმები და საავტორო უფლებების მართვის საკითხები.

---

**21**




საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საპატენტო უწყების ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში „PATLIB 2015“, რომლის მიზანი იყო PATLIB-ის (საპატენტო ბიბლიოთეკა) მუშაობის გამოცდილების გაზიარება (მიუნხენი, გერმანია).

---

**21**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ საქპატენტის თანამშრომლები, რომლის მიზანი იყო დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სისტემისა და კანონმდებლობის გაცნობა (შანხაი, ჩინეთი).

---

**22**



საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სტუდენტები გაეცნენ საქპატენტის ფუნქციებს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს, საპატენტო სისტემის ეფექტურობის ეკონომიკურ ანალიზს და სასაქონლო ნიშნებს, როგორც ბრენდინგის მთავარ ინსტრუმენტს. საქპატენტში ჩატარებული სალექციო აქტივობა „ბიზნეს-ლაბორატორიის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

---

**23**

კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საქპატენტის თანამშრომელი დაესწრო WIPO-ს ორგანიზებულ სემინარს სახელწოდებით „პოლიტიკა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის“, რომლის მიზანი იყო საქართველოს მხარე გაცნობოდა ბელარუსის გამოცდილებას, სადაც მაღალია საგამომგონებლო აქტიურობა და მათი წარმატებული კომერციალიზაცია (მინსკი, ბელარუსი).

---

**26**



26 აპრილის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღის აღსანიშნავად, გაიმართა საზეიმო მიღება, რომელიც გახსნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ს ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი და ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ბორის იაროშევიჩი. მიღება დასრულდა ამ დღისათვის მიძღვნილ კონკურსში „ხმა აიმაღლე მუსიკისთვის“ გამარჯვებულის დაჯილდოვებითა და სიმღერის პრეზენტაციით.

---

**27**



საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო ქართულ - ავსტრიული ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომაში, რომლის ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრა ავსტრიის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელთან ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების ერთობლივი ღონისძიებების განსახილველად (ვენა, ავსტრია).

28



საქპატენტის მხარდაჭერით, თბილისში ჩატარდა “ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის” (CISAC) კომიტეტის ყოველწლიური სხდომა, რომელზეც განიხილეს საავტორო უფლებების სფეროში მიმდინარე გლობალური საკითხები.

29



კამპანია „იცოდე შენი უფლებები“-ს ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა შედგა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წევრებთან, რომელთაც დეტალურად განემარტათ გამომცემელთა საავტორო უფლებები, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები საავტორო უფლებების დარღვევისას.

## მაისი

3

„ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადის, საერთაშორისო ტურში, ჟიურის სტატუსით მონაწილეობა მიიღო საქპატენტის წარმომადგენელმა და სპეციალური პრიზი გადასცა გამარჯვებულს.

4

WIPO-ს დახმარებით საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის დაფუძნების მიზანშეწონილობის შესასწავლად, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია WIPO-ს ექსპერტი როსანო რამჩანარი და WIPO-ს აკადემიის პროგრამების ოფიცერი - იზაბელა პიმენტალი, რომლებმაც შეხვედრები გამართეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უნივერსიტეტების, იუსტიციის უმაღლესი სკოლის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ბიზნეს სექტორის, საერთაშორისო სავაჭრო პალატის, პარლამენტის ეკონომიკური კომიტეტის წარმომადგენლებთან, პოტენციურ ლექტორებთან და პროექტის კოორდინატორებთან.

5



საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში (ვაშინგტონი, აშშ).

6



გაიმართა საქპატენტის დელეგაციის შეხვედრა USPTO-ს დირექტორთან მიშელ ლისთან, რომელზეც განიხილეს საქპატენტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების საკითხები, ასევე, შეხვედრები გაიმართა GIPA-ს და CLDP-ს წარმომადგენლებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით (ვაშინგტონი, აშშ).

6

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქპატენტმა უმასპინძლა ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მე-2 და მე-4 კურსის სტუდენტებს, რომლებიც გაეცნენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმებს.

19

საქპატენტის წარმომადგენლები დაესწრნენ WIPO-ს რეგიონალურ შეხვედრას, რომელზეც განიხილებოდა საპატენტო-საინფორმაციო რესურსები, საძიებო ბაზებთან წვდომა, საპატენტო-ტექნიკური ინფორმაციის ცენტრების, იგივე ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშეწყობის ცენტრების (TISC) შექმნა (ალმა-ატა, ყაზახეთი).

**20**

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრების რეგიონული ცენტრალური აზიური ქსელის მუშაობის შესახებ გამართულ შეხვედრაში, მონაწილეობა მიიღო საქპატენტის თანამშრომელმა (ალმა-ატა, ყაზახეთი).

---

**21**



საქპატენტის თავმჯდომარე დაესწრო WIPO-ს შტაბ-ბინაში გამართულ დიპლომატიურ კონფერენციას ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტის შესახებ, რომელიც დასრულდა აქტზე ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიით (ჟენევა, შვეიცარია).

---

**21**



სომხეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სააგენტომ სარეგისტრაციო მოწმობა გასცა წინანდლის, ახაშენის, ქინძმარაულის, ხვანჭკარას, მანავის და მუკუზანის დასახელებაზე და განსაკუთრებული უფლება, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსიპ „ღვინის ეროვნულ სააგენტოს" მიენიჭა.

---

**25**



საქპატენტის თანამონაწილეობით ჩატარებული „სამეცნიერო-საინოვაციო კონკურსი საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონებისთვის" ფარგლებში, გაცნობითი შეხვედრა გაიმართა მოსწავლე გოგონებთან, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ, საუნივერსიტეტო სწავლისას მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის და მათემატიკის (STEM) მიმართულებების არჩევით.

---

**26**

კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საქპატენტის თანამშრომელი დაესწრო ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების საერთაშორისო თანამშრომლური ქსელის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საინოვაციო პოლიტიკისა და მენეჯმენტის გაუმჯობესებას (მინსკი, ბელარუსი).

---

**28**



WIPO-ს გენერალური დირექტორის ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და WIPO-ს შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავდა თანამშრომლობის გაღრმავებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადმინისტრირებისა და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესების, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარების, სტრატეგიის შემუშავების და საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით.

---

**29**

WIPO-ს გენერალურმა დირექტორმა შეხვედრები გამართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრებთან, სადაც გაეცნო ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს პროგრესს, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზების კუთხით.

---

**29**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (თსუ) WIPO-ს გენერალურ დირექტორს ფრენსის გარის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. თსუ-ს სტუდენტებისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ფრენსის გარიმ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკაში".

**29**



თბილისში WIPO-ს რეგიონული კონფერენცია გაიხსნა, რომელზეც იმსჯელეს კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის უსინათლო, მხედველობის დარღვევების მქონე ან სხვაგვარად ბეჭდვითი ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის გამოქვეყნებული ნაწარმოებების ხელმისაწვდომობის გაადვილების შესახებ მარაკეშის ხელშეკრულებისა და აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ პეკინის ხელშეკრულების თაობაზე.

## ივნისი

**1**

მომზადდა მთავრობის განკარგულების პროექტი UEFA-ს 2015 წლის სუპერთასის მატჩთან დაკავშირებით UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის ღონისძიებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, ღონისძიებების განხორციელება დაევალა საქპატენტთან არსებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს.

**1**




საფრანგეთის ადგილწარმოშობის და ხარისხის ეროვნულ ინსტიტუტში (INAO) შედგა საქპატენტის, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და ღვინის ეროვნული სააგენტოს დელეგაციის ვიზიტი, რომლის მიზანი იყო, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სფეროში საფრანგეთის გამოცდილების გაცნობა და სამუშაო კონტაქტების დამყარება (მონტრო, საფრანგეთი).

**3**



ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლებისთვის, „მომავალი თაობის" მისაქციელისა და ჟინვალის სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ საავტორო უფლებების შესახებ სპეციალურად მათთვის მომზადებულ ლექციას საქპატენტში. შეხვედრა PH International-ის პარტნიორი, ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის ადგილობრივი კომიტეტის ინიციატივით გაიმართა.

**11**



„იცოდე შენი უფლებები" კამპანიის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციის წევრებთან, რომელზეც იმსჯელეს ფოტოგრაფიის კუთხით საავტორო უფლებების დაცვასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

**12**



საქპატენტმა ევროპული ფეხბურთის ასოციაციის კავშირთან (UEFA) თანამშრომლობით მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებები და კანონქვემდებარე აქტების პროექტი, რომელმაც უზრუნველყო UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის და სპეციალური მოთხოვნების გათვალისწინება.

**16**



პროექტის „ერთად შევეგებოთ ევროპას" ფარგლებში, სემინარი გაიმართა სამეგრელოში მომუშავე ფერმერებისთვის, რომლებიც გაეცნენ, თუ რა უპირატესობები აქვს გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტებს ევროკავშირის ბაზარზე გასატანად (ზუგდიდი, საქართველო).

**16**

კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საქპატენტის წარმომადგენელი დაესწრო WIPO-ს ორგანიზებულ სემინარს - ,,ფარმაცევტულ სფეროში საპატენტო დაცვის მრავალმხრივი სამართლებრივი ფარგლები და პრაქტიკა“, სადაც განხილულ იქნა ფარმაცევტულ სფეროში პატენტის დაცვისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის არსებული პოლიტიკა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები (აშხაბადი, თურქმენეთი).

---

**18**



CLDP-ის მხარდაჭერით, ამერიკელმა მოსამართლეებმა სემინარი ჩაატარეს ქართველი მოსამართლეებისთვის, სადაც მათ გააცნეს აშშ-ს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების დავებთან დაკავშირებით (ბათუმი, საქართველო).

---

**20**



CLDP-ის მხარდაჭერით, სემინარი გაიმართა ქართველი ჟურნალისტებისთვის, სადაც მასმედიის წარმომადგენლებს გააცნეს სასაქონლო ნიშნების დაცვის ძირითადი საკითხები, ინტელექტუალური საკუთრების ზეგავლენა ეკონომიკაზე, ინოვაციაზე, კრეატიულობასა და კულტურაზე (ბათუმი, საქართველო).

---

**22**



სახელმწიფო სტრატეგიის პროექტის ფარგლებში, საქართველოში მოქმედი ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შეფასების მიზნით, საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია WIPO-ს კონსულტანტი რონალდ მარჩანი და WIPO-ს მცირე და საშუალო საწარმოებისა და ბიზნესის სამმართველოს, ინოვაციების პოლიტიკის განყოფილების უფროსი თამარა ნანაიაკარა.

---

**26**



ორგანიზაცია „მედია ცენტრი კახეთის“ ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა ფერმერებთან და მეწარმეებთან, მათი გაერთიანებების როლსა და მნიშვნელობაზე ახალი ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციის საკითხზე (თელავი, საქართველო).

---

**27**



საინფორმაციო სააგენტოების რედაქტორებისა და საინ-ფორმაციო-შემეცნებითი გადაცემების პროდიუსერებისთვის გასვლითი სემინარი გაიმართა თემაზე - ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობიერების ამაღლება, როგორც DCFTA-ით აღებული ვალდებულება (ლოპოტას ხეობა, საქართველო).

---

**29**




საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაში, რომელიც აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწასა და მასთან WIPO-ს წევრი ქვეყნების კანონმდებლობების ჰარმონიზაციაზე მუშაობს (ჟენევა, შვეიცარია).

---

**30**



ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ზოგად პრინციპებს გაეცნენ „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ სტუდენტები საქპატენტში გამართულ შეხვედრაზე, სადაც განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები და მათი სამართლებრივი დაცვის პრინციპები.

# ივლისი

**3**




კამპანია „იცოდე შენი უფლებები“ -ს ფარგლებში, საქპატენტში მეორე შეხვედრა შედგა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წევრებთან, სადაც მათ დეტალურად განემარტათ გამომცემელთა საავტორო უფლებები, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები საავტორო უფლებების დარღვევისას.

---

**7**



დაიწყო კამპანია UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის პრევენციისთვის, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება კანონით აკრძალული ქმედებების და ამ ქმედებების ჩადენის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების შესახებ.

---

**7**




საქპატენტმა მასმედიას წარუდგინა სოციალური ვიდეო რგოლი, რომელიც დამზადდა თბილისში UEFA-ს 2015 წლის სუპერთასის მატჩის გამართვასთან დაკავშირებით UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიზნით დაწყებული კამპანიისთვის.

---

**8**



პროექტის „ერთად შევეგებოთ ევროპას” ფარგლებში, სემინარი გაიმართა აჭარაში მომუშავე ფერმერებისთვის, რომლებიც გაეცნენ, თუ რა უპირატესობა აქვს გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტებს ევროკავშირის ბაზარზე გასატანად (ბათუმი, საქართველო).

---

**9**




ჩატარდა პირველი საერთაშორისო კონფერენცია „საქარ-თველო - კონტრაფაქციის წინააღმდეგ“, რომლის ორგანიზატორი იყო საქპატენტი, GIZ-ი და ICC GEORGIA და მას ესწრებოდნენ საქართველოს ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ქართული და უცხოური კერძო კომპანიების, მათ შორის, იურიდიული ფირმების წარმომადგენლები (ბათუმი, საქართველო).

---

**14**

WIPO
WORLD
INTELLECTUAL PROPERTY
ORGANIZATION

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO) მათი პუბლიკაციების თარგმნისა და ბეჭდვის ავტორიზაციაზე.

---

**19**



საქპატენტის ხელმძღვანელობის ოფიციალური ვიზიტი შედგა მოლდოვას რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოში (AGEPI), სადაც განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები AGEPI-სა და საქპატენტს შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემო-რანდუმის ფარგლებში (კიშინოვი, მოლდოვა).

---

**20**

საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის საპატენტო უწყებისა და EUIPO-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში ,,IP EXECUTIVE WEEK“, რომელზეც განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უწყებების როლი გლობალური ეკონომიკის განვითარებაში (ალიკანტე, ესპანეთი).

**23**

საქპატენტის თავმჯდომარემ პატენტრწმუნებულებს გააცნო ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს დეტალური ანგარიში, რომელიც ეხებოდა უწყებაში ჩატარებულ რეორგანიზაციას და შექმნილ ახალ სტრუქტურას, 4 წლიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სასწავლო ცენტრის დაფუძნებას, სტრატეგიის შემუშავებასა და საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობას.

## აგვისტო

**28**



WIPO-ს, WWIEA-ს და საქპატენტის ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი სახელწოდებით „ჰოუპ პროექტი“ (“Hope Project”), რომლის თემა იყო ადამიანური რესურსების განვითარება შემოქმედებით/საგამომგონებლო პროცესში, ინოვაციების, გამოგონებების დაცვისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მართვის სფეროში (ბათუმი, საქართველო).

## სექტემბერი

**10**



საქპატენტის მიერ მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება, ოთხი ახალი გეოგრაფიული აღნიშვნის - ახალქალაქის კარტოფილის, ქუთაისის მწვანილის, ტყიბულის ჩაის და მაჭახელას თაფლის რეგისტრაციის შესახებ.

---

**12**

USAID-ის მიერ 247 000 აშშ დოლარის მოცულობით გაცემული გრანტის საშუალებით, დაიწყო განაცხადების ელექტრონული სისტემის სრულყოფის, ელექტრონული საკანცელარიო პროგრამის და განახლებული ვებგვერდის შექმნაზე მუშაობა.

---

**13**

საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო UPOV-ის ტექნიკური კომიტეტის მუშაობაში, სადაც განხილული იყო მაგალითები სავეგეტაციო ციკლების განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მცენარეთა გამოცდისას.

---

**18**



ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომუშავე ქართველი იურისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ამერიკელმა ექსპერტებმა გამართეს ტრენინგი, რომელზეც განიხილეს სასაქონლო ნიშნების არაკეთილსინდისიერი მიზნით რეგისტრაციის, ორ და სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნების და საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული საკითხები (თბილისი, საქართველო).

---

**21**

კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საქპატენტის თანამშრომლები დაესწრნენ ტრენინგს „საპატენტო ექსპერტიზა USPTO-ში: კანონმდებლობა, პროცედურა და პრაქტიკა“, რომლის მიზანი იყო აშშ-ს საპატენტო სისტემის გაცნობა, საპატენტო ექსპერტიზის დარგში მათი გამოცდილების გაზიარება და განაცხადზე მუშაობის პროცესში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება გაუმჯობესება (ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ).

**24**



ევროკავშირის პროექტის „ერთად შევეგებოთ ევროპას“ ფარგლებში, გაიმართა სემინარი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მომუშავე ფერმერებისთვის, რომელთაც გააცნეს, თუ რა უპირატესობები აქვს გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე გასატანად (ახალციხე, საქართველო).

**25**

საქპატენტის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის მე-5 სხდომაში, სადაც წარადგინა აშშ-ს მთავრობასთან თანამშრომლობის ანგარიში (ვაშინგტონი, აშშ).

**29**



იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქპატენტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლითაც საქპატენტმა აიღო ვალდებულება უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის საკითხებზე იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტების პროფესიული მომზადება.

**30**



WIPO-ს ორგანიზებით, თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის შესახებ, რომელზეც განიხილეს უკანასკნელი სიახლეები გეოგრაფიული აღნიშვნების სფეროში და საერთაშორისო დაცვის სისტემა.

## ოქტომბერი

**1**



გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, რომელსაც ესწრებოდა სხვადასხვა ქვეყნის 70-მდე წარმომადგენელი, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების პოპულარიზაციის მიზნით, გაიმართა გამოფენა-დეგუსტაცია.

**2**

პროექტის „ერთად შევეგებოთ ევროპას” ფარგლებში, სემინარი გაიმართა რაჭაში მომუშავე ფერმერებისთვის, რომლებიც გაეცნენ, თუ რა უპირატესობები აქვს გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტებს ევროკავშირის ბაზარზე გასატანად (ამბროლაური, საქართველო).

**2**



საქპატენტმა დაასრულა მოლაპარაკებები WIPO-ს ცენტრალური ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნების რეგიონალურ ჯგუფში (CEBS) გადასვლასთან დაკავშირებით და წევრი ქვეყნების კონსენსუსით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს CEBS-ის ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

**7**



WIPO-ს 55-ე ასამბლეის ფარგლებში, გაიმართა ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის და გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული ყველის გამოფენა- დეგუსტაცია, რომელსაც დაესწრო 188 ქვეყნის 1000-მდე დელეგატი (ჟენევა, შვეიცარია).

**7** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან (EUIPO), რომელიც ითვალისწინებს EUIPO-ს მონაცემთა ბაზებში ქართული განაცხადების ინტეგრირებას, სასწავლო პროგრამებში თანამშრომლობას და სასაქონლო ნიშნების და დიზაინის სახელმძღვანელოების შემუშავებაში დახმარებას (ჟენევა, შვეიცარია).

---

**7** 

ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ინტელექ-ტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან, WIPO-ს დახმარებით ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის დაფუძნებაში თანამშრომლობის შესახებ (ჟენევა, შვეიცარია).

---

**20** საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო WIPO-ს მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმში, რომელიც წარმოადგენს საერთა-შორისო ფორუმს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და გამოყენების საკითხებზე (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

---

**22** 

საქპატენტის თანამშრომლებს „დიტო ცინცაძის სახელობის ფონდმა“ მხარდაჭერისა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა და სიგელი გადასცა.

---

**27** 

ავღანეთის სამთავრობო დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა შედგა ავღანეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, ინტელექტუალური საკუთრებისა და ბიზნესის ცენტრალური რეესტრის დირექტორთან, რომელზეც განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები ინოვაციების, სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის კუთხით.

---

**29** საქპატენტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ვაჭრობასა და ინვესტიციებზე აშშ-საქართველოს მაღალი დონის დიალოგის შეხვედრაში (HLTD), სადაც მსჯელობა გაიმართა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კუთხით განხორციელებულ ცვლილებებზე (ვაშინგტონი, აშშ).

## ნოემბერი

**2** საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს მიერ ორგანიზებულ მადრიდის სისტემის სამართლებრივი განვითარების შესახებ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომელზეც სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან არსებული ოქმის საერთო რეგულაციებში შემოთავაზებული ცვლილება განიხილებოდა (ჟენევა, შვეიცარია).

---

**9** 

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალურ ცენტრთან“, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, მუნიციპალური ცენტრის ტრენერ-ადვოკატებისთვის ლექცია-სემინარების ჩატარებას ინტელექტუალური საკუთრების სამართალში და ამ კუთხით მათ პროფესიულ გადამზადებას.

**9**



საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს „ინტელექტუალური საკუთრების განვითარების კომიტეტის“ მე-16 სესიაზე, სადაც დაფიქსირდა საქართველოს პოზიცია განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების და ასევე, განათლებისა და პროფესიული განვითარების მხრივ, მოსამართლეთა სასწავლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობაზე მზადყოფნის შესახებ (ჟენევა, შვეიცარია).

---

**15**

ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სერბეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან, რომლის ფარგლებში მოხდება ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მომხმარებელთა სერვისის კუთხით (ბელგრადი, სერბეთი).

---

**16**



საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო დიზაინებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების კანონმდებლობის მუდმივმოქმედი კომიტეტის მუშაობაში, რომელზეც განიხილებოდა დიზაინის კანონის შესახებ შეთანხმების დოკუმენტები და ქვეყნის სახელების დაცვასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადებები (ჟენევა, შვეიცარია).

---

**17**

პროექტის „ერთად შევეგებოთ ევროპას” ფარგლებში, სემინარი გაიმართა ქვემო ქართლში მომუშავე ფერმერებისთვის, რომლებიც გაეცნენ, თუ რა უპირატესობები აქვს გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტებს ევროკავშირის ბაზარზე გასატანად (მარნეული, საქართველო).

---

**19**



ვაჭრობასა და ინვესტიციებზე აშშ-საქართველოს მაღალი დონის დიალოგის (HLTD) შემდგომ ეტაპზე გადასვლის მიზნით, საქართველოში ვიზიტით მყოფი აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენლობის ოფისის დელეგაციასთან შეხვედრა შედგა საქპატენტში, სადაც განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კუთხით განხორციელებული ცვლილებები, IP სასწავლო ცენტრის პროგრამები და აშშ-ს შესაძლო ჩართულობა ამ კუთხით.

---

**23**

საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო WIPO-ს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში „ინოვაცია, ინტელექტუალური საკუთრება და ეკონომიკური განვითარება“, რომლის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება ინოვაციების, გამოგონებების კომერციალიზაციის და ცოდნის გადაცემის სფეროში (კიშინოვი, მოლდოვა).

---

**25**

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის დღის წესრიგი მოიცავდა უფლებების აღსრულების პროცესში, უფლებების მფლობელთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების კანონმდებლობაში განსაზღვრის საკითხს.

---

**26**



მეცნიერების პოპულარიზაციის კუთხით ერთობლივი ღონისძიებების გამართვაზე, საგრანტო განაცხადების წინასწარ ძიებაზე, საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრებში რეგიონალურ ჰაბებში და ტექნოპარკებში ერთობლივი მომსახურების შეთავაზებაზე საქპატენტს, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის გაფორმდა სამმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

**27**

საქპატენტმა და ღვინის ეროვნულმა სააგენტომ დააფუძნეს ა(ა)იპ „ორიჯინ-ჯორჯია“(oriGIn Georgia), რომლის მიზანია საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნით დაცვადი პროდუქტების გამოვლენა, სპეციფიკაციების დადგენა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა.

---

**27**

კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სემინარში სახელწოდებით „მადრიდის სისტემები, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციისთვის“, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო დონეზე უკვე დადგენილი და ახალი პროექტების გაცნობა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო განაცხადებზე ექსპერტიზის პროცედურის გამარტივებას (ჟენევა, შვეიცარია).

---

**30**



WIPO-ს საპატენტო სამართლის მუდმივმოქმედი კომიტეტის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა საქპატენტმა, როგორც ცენტრალური ევროპის და ბალტიისპირეთის (CEBS) ჯგუფის წევრმა (ჟენევა, შვეიცარია).

---

**30**

კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, საქპატენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სემინარში არქივებთან, ბიბლიოთეკებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით არსებული გამონაკლისების და შეზღუდვების თემაზე, რომელზეც განიხილეს ნევრი ქვეყნების კანონმდებლობა არქივებთან, ბიბლიოთეკებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით საავტორო უფლებების შეზღუდვების კუთხით WIPO-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (ბაქო, აზერბაიჯანი).

---

**31**

ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო აშშ-ს პატენტების და სასაქონლო ნიშნების უწყების, ინტელექტუალური საკუთრების გლობალური აკადემიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში - „სასაქონლო ნიშნების ადმინისტრირების პროგრამა“, რომლის მიზანი იყო აშშ-ს სასაქონლო ნიშნების სისტემის გაცნობა (ვაშინგტონი, აშშ).

# დეკემბერი

**1**




ახალი ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის, კონტროლისა და მათი დაცვის მექანიზმების დახვეწის, საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის პოპულარიზაციისა და ბრენდინგის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და საქპატენტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

---

**4**

დასრულდა მუშაობა საპატენტო, საავტორო და მომიჯნავე უფლებების, დიზაინის, სასაქონლო ნიშნების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტებზე, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს.

7




საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო WIPO-ს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაში, რომელიც აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწასა და მასთან WIPO-ს წევრი ქვეყნების კანონმდებლობების ჰარმონიზაციაზე მუშაობს (ჟენევა, შვეიცარია).

11




ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“ სპეციალური ჯილდო გადასცა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს -საქპატენტს.

11

Europaisches Patentamt
European Patent Office
Office européen des brevets

ხელი მოეწერა ორწლიანი თანამშრომლობის პროგრამას ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO), რომელიც გულისხმობს ვალიდაციის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების, საპატენტო ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების, საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის და ფასიან ბაზებთან წვდომის საკითხებს.

15



საქპატენტსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლას შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებში აღნიშნული ორი უწყება ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კონკრეტულ მიმართულებებზე შეიმუშავებს, განავითარებს სასწავლო პროგრამებს, მოსამართლეებისთვის.

18

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ საკონკურსო კომისიაში მონაწილეობა მიიღო საქპატენტის წარმომადგენელმა და სპეციალური პრიზით დააჯილდოვა გამარჯვებული.

21

WIPO-სთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სასწავლო ცენტრის ტრენერთა პირველი მოდული ჩატარდა WIPO-ს ექსპერტების მიერ ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრში, ინტელექტუალური საკუთრების განვითარების თემაზე.

25



საქპატენტის თანამშრომლების ავტორობით შექმნილი სამეცნიერო სტატიებით გამოიცა საქპატენტის განახლებული სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „IP საქართველო“, რომელშიც, ასევე, სპეციალურად ამ ჟურნალისთვის ცნობილი ფიზიკოსის, გია დვალის ინტერვიუ დაიბეჭდა.

# საერთაშორისო ურთიერთობები/ 2015

WIPO
WORLD
INTELLECTUAL PROPERTY
ORGANIZATION

**თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO)**

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვი-სა და ეროვნული ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების გაძლიერების, ასევე, შესაბამისი ინფრას-ტრუქტურის განვითარების მიზნით, საქპატენტს დახმა-რებას უწევს WIPO. 2015 წელი განსაკუთრებით აქტიური და დატვირთული იყო WIPO-სთან ერთობლივად განხორ-ციელებული პროგრამებითა და ღონისძიებებით. კერძოდ:

- WIPO-ს დახმარებით საქპატენტთან დაფუძნდა ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრი, რომელიც მიზნობრივ ჯგუფებს შესთავაზებს სპეციალურ მოკლე და გრძელვადიან პროგრამებს ინტელექტუალური საკუთრების დარგში. WIPO ინტელექტუალური საკუთრების აკადემიის პროექტის ფარგლებში, დაეხმარება საქპატენტის სასწავლო ცენტრს, სასწავლო პროგრამების შემუშავებაში, ლექტორების გადამზადებაში და უზრუნველყოფს ცენტრს სასწავლო ლიტერატურით. პირველი ტრენინგი ქართველი ლექტორებისათვის WIPO-ს ექსპერტთა მისიამ 2015 წლის დეკემბერში გამართა.

- დაიწყო მუშაობა პროექტზე „ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს საქართველოში მოქმედი ინტელექტუალური საკუთრების სისტემის შეფასება, განისაზღვროს სფეროები, რომლებიც საჭიროებს განვითარებას და შემუშავდეს მოკლე და გრძელვადიანი აქტივობები. პროექტის ფარგლებში, WIPO-ს ექსპერტებმა საქპატენტის ხელმძღვანელებთან ერთად შეხვედრები გამართეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნულ სააგენტოში. შედგა შეხვედრა პატენტრწმუნებულებთან, გამომგონებლებთან, საქართველოს სავაჭრო პალატისა და ბიზნესმენთა ასოციაციასთან, საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. მიღებული ინფორმაციის შედეგად, შემუშავდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის პროექტი.

- დაიწყო მოლაპარაკება მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტზე, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ანიმაციური სასწავლო პროგრამის „IP PANORAMA“-ს საქართველოს მომხმარებელზე მორგება და ქართულ ენაზე თარგმნა. აღნიშნული პროგრამა მცირე და საშუალო საწარმოებს (SMEs) აძლევს პრაქტიკულ ცოდნას ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მნიშვნელობის შესახებ და ეხმარება მათ ბიზნესში ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებასა და მართვაში. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს სემინარების და კონფერენციების მოწყობას მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის;

- დაფინანსდა WIPO-ს აკადემიის დისტანციური სწავლების კურსები ქართველი ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

2015 წელს საქპატენტმა დაასრულა მოლაპარაკებები WIPO-ს ცენტრალური ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნების რეგიონულ ჯფუგში (CEBS) გადასვლასთან დაკავშირებით და 2 ოქტომბერს წევრი ქვეყნების კონსენსუსით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს CEBS-ის ჯგუფში გაწევრიანების შესახებ. აქამდე საქართველო წარმოადგენდა კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულ ჯგუფს (CACEEC), სადაც გაერთიანებული არიან დსთ-ს ქვეყნები. ჯგუფის შეცვლა განაპირობა საქართველოს მიერ აღებულმა ევროპულმა კურსმა და ღირებულებებმა. ჯგუფში გაწევრიანების შემდეგ:

- საქპატენტი WIPO-ში გააგრძელებს ერთ პლატფორმაზე მუშაობას ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორიცაა ალბანეთი, ბულგარეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, მოლდოვა, მაკედონია, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი, მონტენეგრო, ხორვატია და აღნიშნულ ქვეყნებთან ერთად იმუშავებს საერთაშორისო კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე;
- ჯგუფში მუშაობა ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ პროცესებს და გაამარტივებს ინტელექტუალური საკუთრების დარგში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

2015 წელს WIPO-სთან ურთიერთობები ახალ საფეხურზე აიყვანა გენერალური დირექტორის ფრენსის გარის ვიზიტმა, რომელიც საქართველოს პირველად ეწვია პრემიერ-მინისტრის მოწვევით. ვიზიტის ფარგლებში:





- შედგა შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან, რომლის შემდეგ ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და WIPO-ს შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის ფარგლებში, გაღრმავდება თანამშრომლობა, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადმინისტრირებისა და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესების საკითხებზე, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარებაზე, ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შემუშავებაზე, საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობასა და საქპატენტის ბაზაზე ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის დაფუძნებაზე;



- ვიზიტის ფარგლებში, WIPO-ს გენერალური დირექტორი ფრენსის გარი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს. შეხვედრების დროს WIPO-ს გენერალური დირექტორი გაეცნო საქართველოს პროგრესს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების სისტემის განვითარების კუთხით, რაც წარმოადგენს DCFTA-ს ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას;



- WIPO-ს გენერალური დირექტორისა და საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის შეხვედრისას საუბარი შეეხო მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებას საქართველოს კანონში ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" ცვლილებების განხორციელებას, რომელზეც მუშაობა საქპატენტმა უკვე დაასრულა. ასევე, განიხილეს ,,აუდიოვიზუალური შესრულებების დაცვის პეკინის შეთანხმება'', რომლის შესახებ რეგიონალური კონფერენცია საქპატენტისა და WIPO-ს ორგანიზებით თბილისში გაიმართა;



- WIPO-ს გენერალური დირექტორი ფრენსის გარი შეხვდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს, სადაც განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების შესაძლებლობები;
- ფრენსის გარიმ გახსნა WIPO-ს და საქპატენტის მიერ ორგანიზებული რეგიონული სამუშაო შეხვედრა კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ,,უსინათლო, მხედველობაშეზღუდული და ბეჭდვითი ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობის სხვა დარღვევების მქონე პირთათვის გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ხელმისაწვდომობის გაადვილების



მარაკეშის შეთანხმებასა'' და ,,აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ პეკინის შეთანხმების" თაობაზე, რომელზეც განიხილეს WIPO-ს მიერ ადმინისტრირებული ორი ახალი შეთანხმების ხელმოწერის უპირატესობები;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) ფრენსის გარის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. WIPO-ს გენერალურმა დირექტორმა თსუ-ს სტუდენტებისთვის და პროფესორ-



მასწავლებლებისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკაში".

ფრენსის გარიმ გამოხატა საქართველოში პრიორიტეტული პროექტების ერთობლივად განხორციელების მზადყოფნა, რაც გაზრდის საზოგადოების ცნობიერებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ და საქართველოში ამ სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს.



**თანამშრომლობა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან**

2015 წელს, საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან. კერძოდ:

- ევროკავშირის წარმომადგენლობამ მონაწილეობა მიიღო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი (26 აპრილი) მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზებაში. მისი მხარდაჭერით დაიბეჭდა აღნიშნული ღონისძიების პრომო მასალა;
- საქპატენტი ჩაერთო ევროკავშირის 2015 წლის საინფორმაციო კამპანიაში - „ერთად შევეგებოთ ევროპას.“ კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა სამეგრელოს, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, ქვემო ქართლის და რაჭის ფერმერებთან და მეწარმეებთან, რომლებიც გაეცნენ, თუ რა უპირატესობებით სარგებლობს გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე;
- „TAIEX“-ის პროექტის ფარგლებში, საქპატენტმა საპროექტო წინადადება წარადგინა ევროკავშირის წარმომადგენლობაში ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის შესახებ სამუშაო შეხვედრის ჩასატარებლად.
- TWINING-ის პროექტის ფარგლებში, საქპატენტმა წარადგინა საპროექტო წინადადება საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების ეფექტური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

2015 წელს გაგრძელდა მუშაობა, „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) სამოქმედო გეგმის განხორციელების მიმართულებით, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ითვალისწინებს შემდეგ ვალდებულებებს:

- ორივე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფა და ამ უფლებების დაცვისათვის შესაბამისი მექანიზმების შემოღება;
- სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებულ იქნას უფლების მფლობელებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სანქციების ეფექტური იმპლემენტაცია;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება და უფლების მფლობელებთან ეფექტური დიალოგის უზრუნველყოფა;

აღნიშნული ვალდებულებების გათვალისწინებით, DCFTA-ს სამოქმედო გეგმის თანახმად, საქპატენტი პასუხისმგებელია განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება. ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება;
- მოსამართლეებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგების ჩატარება;
- სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით. საინფორმაციო ხასიათის ბიულეტენებისა და ფლაერების ბეჭდვა.

DCFTA-ით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, DCFTA-ს სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან განხილვის შემდეგ, საბოლოო დასკვნისთვის მომზადდა ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი კანონმდებლობის ცვლილებათა პაკეტი. ცვლილებების თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისას, მფლობელს ენიჭება უფლებამოსილება მოითხოვოს ობიექტების, რომლებიც არღვევს მის განსაკუთრებულ უფლებებს, ბრუნვიდან ამოღება, მისი განადგურება, ასევე, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოსახულების განადგურება და ინტერნეტში განთავსებული მასალის წაშლა და ნებისმიერი ტექნიკური საშუალებების განადგურება, რომლითაც ის მზადდება. განსაკუთრებული უფლებების მფლობელის შეხედულებისამებრ, განისაზღვრება მიყენებული ზიანის, მიღებული სარგებლისა და ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნის უფლებამოსილება. ამასთან, დგინდება ზიანის ოდენობისა და ფულადი კომპენსაციის განსაზღვრის სამართლებრივი მექანიზმები. ახალი ცვლილებებით გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განსაკუთრებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დროებითი, მტკიცებულებათა და სარჩელის უზრუნველყოფის საპროცესო ღონისძიებები, უფლებების ეფექტური აღსრულებისთვის;
- ჩატარდა სემინარი მოსამართლეებისთვის, სადაც განიხილეს გადაწყვეტილებები ინტელექტუალური საკუთრების დარღვევასთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეებზე (18.06.2015, ბათუმი), ასევე, ჩატარდა სემინარი ინტელექტუალურ სფეროში მომუშავე იურისტებისთვის, რომელზეც განიხილეს სასაქონლო ნიშნების არაკეთილსინდისიერი მიზნით რეგისტრაციის, ორ და სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნების, საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნების და კოლექტიური ლიცენზირების საკითხები. (18.09.2015, თბილისი).
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, განხორციელდა კამპანია „იცოდე შენი უფლებები“. სამუშაო შეხვედრები და სემინარები გაიმართა სხვადასხვა კატეგორიის საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებთან (მუსიკოსები, გამომცემლები, ფოტოგრაფები და ა.შ.), შეიქმნა, დაიბეჭდა და გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო ფლაერები;
- ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი (26 აპრილი) მიძღვნილი კამპანია სახელწოდებით „ხმა აიმაღლე მუსიკისთვის“, რომლის მიზანი იყო საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მეკობრეობისა და საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ. კამპანიის ფარგლებში, მასმედიის საშუალებით გავრცელდა სოციალური ვიდეო რგოლი, ასევე, საავტორო უფლებების დაცვის მოწოდებით, სოციალურ ქსელებში გავრცელდა 20 ვიდეო-რგოლი ცნობილი მუსიკოსების მონაწილეობით, ჩატარდა კონკურსი ინტელექტუალური საკუთრების თემაზე მუსიკალური ნაწარმოების შესაქმნელად. კონკურსში გამარჯვებული

მუსიკალური ნაწარმოები ჩაიწერა, გამოიცა CD-დისკზე, შეიქმნა ვიდეო რგოლი, რომელიც გავრცელდა მასმედიის საშუალებით;

- საქპატენტმა უმასპინძლა სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებსაც ჩაუტარდათ ლექცია ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლებსა და მნიშვნელობაზე;
- ჩატარდა სემინარები გეოგრაფიული აღნიშვნების თემაზე საქართველოს რეგიონებში მეწარმეებისა და ფერმერებისთვის, გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქტების უპირატესობებზე ევროპის ბაზარზე მოსახვედრად;
- გასვლითი სემინარები მოეწყო ტელევიზიის ჟურნალისტებისა და პროდიუსერებისთვის, სადაც განიხილეს მასმედიის მნიშვნელობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით;
- მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერები/ბუკლეტები - ადგილწარმოშობის დასახელებების, გეოგრაფიული აღნიშვნების, საავტორო უფლებების, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების აღსრულების, მარაკეშის და პეკინის შეთანხმების, ხშირად დასმული შეკითხვების შესახებ;
- მომზადდა, დაიბეჭდა და გავრცელდა საქპატენტის განახლებული სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „IP საქართველო“;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, გავრცელდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტელე და რადიო გადაცემებში, სადაც საზოგადოებას მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების დარგში მიმდინარე სიახლეებზე.



**თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან**

საქპატენტის სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, საქპატენტს მხარს უჭერს აშშ-ს მთავრობა. 2015 წელს გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან (USPTO), საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან და აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოსთან (USAID). აღნიშნული ინსტიტუციების აქტიური ჩართულობით, ასევე, აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) და აშშ-ს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriED) ხელშეწყობით, 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაიმართა 26 აპრილის – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც ჩართული იყო აშშ-ს საელჩო საქართველოში. საინფორმაციო კამპანიაში, რომელიც ეძღვნებოდა საავტორო უფლებების დაცვას სლოგანით - ,,ხმა აიმაღლე მუსიკისთვის“ (Get Up, Stand Up. For Music.) მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა. შეიქმნა 20 ვიდეო რგოლი, ცნობილი ქართველი მუსიკოსების ინტერვიუებით, ასევე, სოციალური ვიდეო რგოლი, რომელიც გავრცელდა საქართველოში მოქმედი ტელევიზიების ეთერით. აღნიშნული საინფორმაციო კამპანიის საშუალებით საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობაზე;
- გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება USAID-თან ელექტრონული მართვის სისტემის განვითარების პროგრამის მხარდასაჭერად. გაიცა 247 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი, რომელიც ხმარდება განაცხადების ელექტრონულად წარდგენის სისტემის დანერგვას, რაც ამარტივებს განაცხადის შეტანისა და მართვის პროცედურას. გრანტის ფარგლებში, ასევე, შემუშავდება ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის მმართველობას საქპატენტში. თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე, შემუშავდება ახალი ვებგვერდი, რომელიც იქნება თავსებადი მობილურ მოწყობილობებთან და ახალ მონაცემთა ბაზასთან. გრანტი, ასევე, მოხმარდება აპარატურის შეძენას ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრისთვის, რაც უცხოელი ექსპერტების მიერ ვიდეო ლექციების ჩატარებას გახდის შესაძლებელს. პროექტის ფარგლებში, სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას საქპატენტის სათაო ოფისში დაესწრნენ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილე ბრიუს ენდრიუსი და ჯონათან კაცი, USAID-ის ადმინისტრატორის მოადგილე ევროპასა და ევრაზიაში;
- G-PriED-ის მხარდაჭერით, დაიწერა და გამოსაცემად მომზადდა დამატებითი საკითხავი ლიტერატურა მე-2 - მე-6 კლასის მოსწავლეთათვის გამოგონებებზე, სასაქონლო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე და დიზაინზე;
- CLDP-ის მხარდაჭერით, ჩატარდა სემინარი ქართველი მოსამართლეებისთვის, სადაც აშშ-ს მოსამართლეებმა ქართველ კოლეგებთან ერთად განიხილეს აშშ-ს გამოცდილება ინტელექტუალური საკუთრების დავებთან დაკავშირებით;
- CLDP-ის მხარდაჭერით, ჩატარდა სემინარი ჟურნალისტებისთვის და მასმედიის წარმომადგენლებისთვის, სადაც ჟურნალისტებმა გაიზიარეს გამოცდილება სასაქონლო ნიშნების დაცვის ძირითად საკითხებზე და ინტელექტუალური საკუთრების როლზე ეკონომიკაში;
- CLDP-ის, აშშ-ს საელჩოს საქართველოში, საქპატენტის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა ტრენინგი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში ადვოკატებისთვის და პრაქტიკოსი იურისტებისთვის. ტრენინგი ჩაატარეს ამერიკელმა ექსპერტებმა და განიხილეს პრაქტიკული მაგალითები სასაქონლო ნიშნებთან და სხვა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით;
- CLDP-ის და USPTO-ს მიწვევით, საპატენტო სისტემის ექსპერტიზის პროცესის გასაცნობად და სასაქონლო ნიშნების სისტემის ადმინისტრირების საკითხების შესწავლის და აშშ-ს გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქპატენტის თანამშრომლების ორი სასწავლო ვიზიტი შედგა აშშ-ში;
- დაიწყო მოლაპარაკებები USPTO-ს ბაზაზე არსებულ გლობალური ინტელექტუალური საკუთრების აკადემიასთან (GIPA) საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრისა და GIPA-ს ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავების შესაძლებლობაზე სასაქონლო/საპატენტო ექსპერტების, მოსამართლეების, იურისტების, პატენტრწმუნებულების, ბიზნეს სექტორის, სტუდენტების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, აშშ-ს ექსპერტების ადგილზე მონაწილეობის და დისტანციური

ვებინარების ჩატარების შესაძლებლობებზე;

- ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრში გაიმართა შეხვედრა აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენლობის დელეგაციასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთობების დირექტორი ჯეისონ ბუნტინი. დელეგაცია გაეცნო ცენტრის სამომავლო გეგმას რეგიონულ სასწავლო ცენტრად გარდაქმნის შესახებ.

- საქპატენტში 12 მარტს გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ აშშ-ს ვაჭრობის მინისტრის მეორე მოადგილე მეთიუ მარი, აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბიუროს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში დანიკა სტარქსი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემა, ასევე, საქპატენტის ხედვა და საქმიანობა კერძო სექტორისთვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ხელშეწყობის კუთხით და CLDP-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. აღინიშნა აშშ-ს მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზე და მიღწეული პროგრესი.

**თანამშრომლობა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან (EUIPO)**

2015 წელს საქპატენტმა ხელი მოაწერა მემორანდუმს EUIPO-სთან, ევროკავშირის უწყებასთან, რომელიც ახორციელებს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინების რეგისტრაციას ერთი განაცხადის საშუალებით. მემორანდუმის ფარგლებში :

- დაიწყო მუშაობა საქპატენტის სასაქონლო ნიშნების და დიზაინების მონაცემთა ბაზების EUIPO-ს ბაზებში - TMView და DSView-ში ინტეგრირებაზე, რომელიც საშუალებას მისცემს უცხოელ მომხმარებლებს ინფორმაცია მიიღონ საქართველოში რეგისტრირებული ნიშნების შესახებ. გარდა ამისა, ქართული ენის დამატებით, მომხმარებლებს ექნება საშუალება ძიება ჩაატარონ ქართული ინტერფეისის გამოყენებით.
- უწყებები ითანამშრომლებენ სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის სახელმძღვანელოების (გაიდლაინების) შემუშავებაზე;
- მოხდება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების სფეროში დარღვევების ევროპული ობსერვატორიის გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება;
- EUIPO-ს აკადემია ითანამშრომლებს საქპატენტის მიერ დაფუძნებულ ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრთან პროგრამების შემუშავებასა და EUIPO-ს აკადემიის ელექტრონულ პლატფორმაზე წვდომის მიღებაში;
- EUIPO დაეხმარება სასაქონლო ნიშნების და დიზაინის ქართველ ექსპერტებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, EUIPO-ს მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობით.

**თანამშრომლობა ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO)**

ევროპის საპატენტო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის საკითხების განსახილველად, 2015 წელს შედგა საქპატენტის ხელმძღვანელობის ოფიციალური ვიზიტი საპატენტო უწყებაში, ორწლიანი თანამშრომლობის პროგრამის განსახილველად, რომელიც მოიცავს ვალიდაციის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების, საპატენტო ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების, საინოვაციო საქმიანობის ხელშეწყობის და ფასიან ბაზებთან წვდომის საკითხებს. საქპატენტსა და EPO-ს შორის ხელმოწერილი ორწლიანი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქპატენტმა მიიღო 8 მომხმარებლისთვის სპეციალიზირებულ საძიებო მონაცემთა ბაზაზე (GPI) წვდომა;
- საქართველომ გააგრძელა მონაწილეობა საპატენტო ბიბლიოთეკების პროექტში PATLIB;
- დაიგეგმა ქართულ მონაცემთა ბაზების ევროპის საპატენტო მონაცემთა ბაზებში ინტეგრირება;
- ქართველი ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, დაფინანსდა ევროპის საპატენტო უწყების აკადემიის დისტანციური სწავლების კურსები;
- ევროპის საპატენტო უწყებასთან ერთად დაიწყო მუშაობა საქპატენტის მიერ დაფუძნებული ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრისათვის პროგრამების შემუშავებაზე.

**საერთაშორისო თანამშრომლობა ინტელექტუალური საკუთრების უწყებებთან**

2015 წელს, ინტელექტუალური საკუთრების უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შედგა საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში, რომლის მიზანი იყო უნგრეთის უწყების და მისი სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის საკოორდინაციო საბჭოს და კონტრაფაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საბჭოს მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება. ვიზიტის ფარგლებში, რომელიც უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა, უწყების ხელმძღვანელებმა განიხილეს სამომავლო გეგმები და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობები.
- საინოვაციო საქმიანობის მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქპატენტის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტი შედგა ესტონეთის ინტელექტუალური საკუთრების და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრში. ვიზიტის ფარგლებში,

საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობისთვის დაიგეგმა ერთობლივი პროექტების განხორციელება;

- თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საქპატენტის ხელმძღვანელობის ოფიციალური ვიზიტი შედგა მოლდოვას რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების სახელმწიფო სააგენტოში (AGEPI), სადაც განიხილეს უწყებებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები და ერთობლივი პროექტების და ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობები. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა ადგილობრივ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გადაცემის სააგენტოსთან, ინოვაციების ხელშეწყობის პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით და მოლდოვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან ედუარდ გრამასთან და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან, საქართველოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის გაცნობის და გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- 2015 წელს გაიმართა ორმხრივი შეხვედრები საქპატენტის ხელმძღვანელობასა და ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ჩეხეთის, პოლონეთის, სერბეთის, უნგრეთის, ავსტრიის, ჩინეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებების ხელმძღვანელ პირებთან, ასევე, აღნიშნულ წელს წარმოებდა მოლაპარაკებები რუმინეთის და შვეიცარიის საპატენტო უწყებებთან, ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ახალი პროექტების განხორციელების და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით. მომზადდა და 16 ნოემბერს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს სერბეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან.

საქპატენტი მონაწილეობდა სახელმწიფოთაშორისი ორმხრივი ეკონომიკური კომისიების სხდომებში. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზე მომზადდა პოზიციები ოქმებში გასათვალისწინებლად და განხილულ იქნა ორმხრივი მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომებზე ჩინეთთან, ავსტრიასთან, ლიტვასა და ლატვიასთან.

2015 წელს ხელი მოეწერა ორმხრივ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას „საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში“.

2015 წელს საქპატენტი მონაწილეობდა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებებში. შეთანხმებაში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა ცალკე თავად არის მოცემული.

# კონფერენციები/ 2015



სახელი: **„ჰოუპ პროექტი“ (“Hope Project”)**
თარიღი და ადგილი: **28-29 აგვისტო 2015 წელი, ბათუმი**
ორგანიზატორი: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი, ინტელექ-ტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO), მსოფლიო გამომგონებელ და მეწარმე ქალთა ასოციაცია (WWIEA)**

საერთაშორისო სიმპოზიუმის მთავარი თემა იყო ადამიანური რესურსების განვითარება შემოქმედებით/ საგამომგონებლო პროცესში, ინოვაციების, გამოგონებების დაცვისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მართვის სფეროში. „ჰოუპ პროექტის“ ფარგლებში, ,ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ნოვატორი ქვეყნის, კორეის ექსპერტებმა წარმოადგინეს მათ მიერ შემუშავებული სახელმწიფო განვითარების გეგმები და ის შედეგები, რაც აღნიშნული პოლიტიკის გატარებამ მოიტანა. კორეის სწრაფი ეკონომიკური წარმატების მნიშვნელოვან მიზეზად სახელდება ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისა და განვითარების სწორი პოლიტიკა.
სამხრეთ კორეამ შეიმუშავა ახლებური მიდგომა გამოგონების, ინოვაციებისა და ზოგადად ინტელექტუალური საკუთრების მიმართ, რაც გამოიხატა ისეთი ცნების დანერგვაში, როგორიცაა „განათლება გამოგონებაში“ (invention education) და მისგან აწარმოა სლოგანი „ვასწავლოთ გამოგონება“ (teach invention). ყველაზე მეტ და ღირებულ გამოგონებებს მოსწავლეები ქმნიან, თუმცა, მათ სჭირდებათ უფრო მყარი ცოდნა, მეტი ინფორმაცია და კავშირები. „განათლება გამოგონებაში“ არის სასწავლო კურსი, რომელიც ისწავლება სკოლებსა და უნივერსიტეტებში. ეს მეთოდი სპეციალური ხერხებით ხელს უწყობს კრეატიული აზროვნების სტიმულირებას. მეთოდის პრინციპია: „გამოგონება შეუძლია ყველას“.
კორეის განვლილი გზის განხილვის, დაგროვილი ცოდნის გაზიარების და მიღებული ცოდნით შესაბამისი სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით, სიმპოზიუმზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლების ხელმძღვანელები, უნივერსიტეტების რექტორები, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები.

სახელი: **„საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ“**
თარიღი და ადგილი: **9-10 ივლისი 2015 წელი, ბათუმი**
ორგანიზატორი: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი, საერთა-შორისო სავაჭრო პალატა - საქართველო (ICC Georgia) და გერმანიის თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ)**

კონტრაფაქციის თემაზე საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში პირველად ჩატარდა, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირება კონტრაფაქციასთან ბრძოლის მექანიზმების შესახებ, საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის დაწყება და დაინტერესებული მხარეების ერთმანეთთან დაკავშირება.
კონფერენციაზე განიხილეს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების და ex officio უფლებების ეფექტური აღსრულების დანერგვის საკითხები. მოხსენებით წარსდგნენ ICC-ორგანიზაციის ბიზნეს აქტივობები კონ-ტრაფაქციის და მეკობრეობის წინააღმდეგ (BASCAP ICC) წარმომადგენელი, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ატაშე, კომპანია Philipp Morris–ის ადვოკატი და ინტელექტუალური საკუთრების ექსპერტი გერმანიიდან ვოლფგანგ პროისი. მონაწილეებს შორის იყვნენ კერძო კომპანიების და იურიდიული ფირმების წარმომადგენლები (LEVI’S, Beiersdorf, Japan Tobacco International, Microsoft, Gleiss Lutz, და სხვა.), ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების საკოორდინაციო საბჭოს წევრები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები, ბიზნეს ომბუდსმენი და სხვა. კონფერენციას 118 მონაწილე დაესწრო და მათი მხრიდან გამოთქმულ იქნა სურვილი, რომ შეხვედრას მისცემოდა რეგულარული ხასიათი. ორგანიზატორების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონფერენციის ყოველწლიურად ჩატარების შესახებ.





სახელი: **„მარაკეშის და პეკინის შეთანხმება“**
თარიღი და ადგილი: **28-29 მაისი 2015 წელი, თბილისი**
ორგანიზატორი: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)**

სამუშაო შეხვედრა კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ,,აუდიოვიზუალური შესრულებების შესახებ პეკინის შეთანხმების“ და ,,უსინათლო, მხედველობაშეზღუდული და ბეჭდვითი ინფორმაციის აღქმის შესაძლებლობის სხვა დარღვევების მქონე პირთათვის გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან ხელმისაწვდომობის გაადვილების მარაკეშის შეთანხმების‘‘ თაობაზე, გახსნა WIPO-ს გენერალურმა დირექტორმა ფრენსის გარიმ. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილეს WIPO-ს მიერ ადმინისტრირებული ორი ახალი შეთანხმების ხელმოწერის უპირატესობები. ,,აუდიოვიზუალური შესრულების დაცვის პეკინის შეთანხმება‘‘, 12 წლიანი მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ იქნა 2012 წლის 26 ივნისს, WIPO-ს დიპლომატიურ კონფერენციაზე. ის უზრუნველყოფს აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებში შემსრულებელთა ქონებრივ უფლებების ძლიერ დაცვას და უზრუნველყოფს დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, ასევე, შემსრულებლებს მიანიჭებს უფლებას, მოითხოვონ პროდიუსერებისგან საერთაშორისო დონეზე აუდიოვიზუალური პროდუქციის გამოყენებით მიღებული შემოსავლების განაწილება.
მიჩნეულია, რომ შეთანხმება საერთაშორისო დონეზე აღმოფხვრის აუდიოვიზუალურ და მუსიკალურ შემსრულებელთა სამართლებრივი დაცვის სფეროში არსებულ დისბალანსს. ის, ასევე, უზრუნველყოფს შემსრულებელთა უფლებების დაცვას ვირტუალურ სივრცეში. ქალაქ მარაკეშში გამართულ დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებულ შეთანხმებას მკაფიოდ გამოხატული ჰუმანიტარული და სოციალური ხასიათი აქვს. შეთანხმების მიღება და პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს ე. წ. ,,წიგნის შიმშილის‘‘ დასრულებას და სხვადასხვა ქვეყნების უსინათლო და სხვა კატეგორიის პირთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ წიგნების გაცვლას დამატებითი ბარიერების შექმნის გარეშე. შეთანხმება ეხება საავტორო უფლებების გამონაკლისებს, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების და საავტორო უფლებებით დაცული სხვა ნაწარმოებების აღნიშნულ პირთათვის მოსახერხებელ ფორმატში ხელმისაწვდომობის გაადვილებას. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს წარმომადგენლებმა მსოფლიოს 15 ქვეყნიდან, ფილმის პროდიუსერთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (FIAPF), ბიბლიოთეკათა ასოციაციების და დაწესებულებების საერთაშორისო ფედერაციის (IFLA), გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციისა (IPA) და აშშ-ს უსინათლოთა ეროვნული ფედერაციის (NFB) წარმომადგენლებმა.

სახელი: **„გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა“**
თარიღი და ადგილი: **30 სექტემბერი-1 ოქტომბერი 2015 წელი, თბილისი**
ორგანიზატორი: **საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO)**

საერთაშორისო კონფერენცია მიზნად ისახავდა გეოგრაფიული აღნიშვნების დარგში უკანასკნელი სიახლეების გაცნობას. კონფერენციის მსვლელობისას განიხილეს გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო დაცვისა და გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის სისტემები, იმსჯელეს პროდუქტისთვის გეოგრაფიული აღნიშვნის სტატუსის მინიჭების საკითხებზე და დარგში არსებულ გამოწვევებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოვიდა და მოხსენებით წარსდგა უნგრეთის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ვიცე პრეზიდენტი და ასევე, WIPO-ს „ლისაბონის სისტემის განვითარების სამუშაო ჯგუფის“ თავმჯდომარე, მიხალ ფიჩორი, რომლის ხელმძღვანელობითაც შემუშავდა ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ ლისაბონის შეთანხმების ჟენევის ახალი აქტი. კონფერენციაზე ასევე მოხსენება გააკეთეს INAO-ს და ლონდონის „Queen Mary”-ს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა. დამსწრეთა შორის იყვნენ წარმომადგენლები კიევის სამართლის უნივერსიტეტიდან, სხვადასხვა საპატენტო უწყებების, კერძოდ, საფრანგეთის, უნგრეთის, რუმინეთის, მოლდოვას, აზერბაიჯანის, უკრაინის, ყირგიზეთის და ყაზახეთის წარმომადგენლები. ასევე, საქართველოს პარლამენტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ეკონომიკის სამინისტროს, მწარმოებელთა ასოციაციების, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, ამერიკის საელჩოს, FAO-ს, USAID-ის და სხვა სამთავრობო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები.
დასასრულს გაიმართა საქართველოში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების გამოფენა-დეგუსტაცია.



‘15

# სასაქონლო ნიშანი

# სასაქონლო ნიშანი

საქართველოში სასაქონლო ნიშნების, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაცვის მნიშვნელობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ექსპერტიზის პროცედურის დახვეწის და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) პრაქტიკის დანერგვის, ასევე, განმცხადებელთა და ნიშნების მფლობელთათვის სასაქონლო ნიშნების განაცხადების შეტანის და სხვა პროცედურების გაადვილების მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრმა – საქპატენტი 2015 წელს განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ქართულ ენაზე ითარგმნა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სახელმძღვანელო (გაიდლაინი), რომელიც დაეხმარება ექსპერტებს სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში ერთიანი, სწორი და თანმიმდევრული პრაქტიკის შემუშავებაში;
- 2015 წელს ითარგმნა WIPO-ს პუბლიკაციები გეოგრაფიული აღნიშვნების, ნიშნების საერთაშორისო დაცვის (მადრიდის სისტემა), სამრეწველო საკუთრების, ინტელექტუალური საკუთრებისა და გენეტიკური რესურსების, ტრადიციული ცოდნისა და ტრადიციული კულტურული გამოხატულებების თემაზე, რომელიც ბიზნესის და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს, ასევე, პატენტრწმუნებულებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს დაეხმარება ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა ობიექტთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაში;
- ჟურნალისთვის „IP საქართველო" მომზადდა და გამოიცა სამეცნიერო სტატიები სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნების დაცვისუნარიანობის კრიტერიუმის და გარანტირებულად ტრადიციული განსაკუთრებული პროდუქტის შესახებ.

გატარებული ღონისძიებების შედეგი საანგარიშო წელს აისახა სასაქონლო ნიშნების განაცხადების დაახლოებით 9%-იან მატებაში, წინა წელთან შედარებით, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით. ამასთან, ეროვნული პროცედურით 7%-მდე, ხოლო საერთაშორისო პროცედურით შემოსული განაცხადების რაოდენობაზე 10%-მდე ზრდა დაფიქსირდა. სასაქონლო ნიშნების, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო განაცხადებში 2015 წელს ლიდერობს განაცხადები მომსახურების სფეროსა და ფარმაცევტულ პროდუქტებზე. განაცხადების დიდი რაოდენობა (555) დაფიქსირდა 2015 წელს აშშ-დან, გერმანიიდან (342) და რუსეთიდან (338). 2015 წელს, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის, მადრიდის ოქმით, საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 33 განაცხადი.

სასაქონლო ნიშანზე ადგილობრივი განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი კლასებია:

- 35-ე კლასი: რეკლამა; საქმიან სფეროში მართვა და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 359 განაცხადი;
- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 208 განაცხადი;
- 33-ე კლასი: ალკოჰოლიანი სასმელი (ლუდის გარდა) – 209 განაცხადი;

სასაქონლო ნიშანზე ადგილობრივი და საერთაშორისო განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი კლასებია:

- მე-5 კლასი: ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ. – 1304 განაცხადი;
- 35-ე კლასი: რეკლამა საქმიან სფეროში მართვა და ადმინისტრირება; საოფისე სამსახური – 915 განაცხადი;
- მე-9 კლასი: ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები და ა.შ. - 644 განაცხადი.

2015 წლის UEFA-ს სუპერთასის თბილისში ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი ევროპული ფეხბურთის ასოციაციის კავშირის – UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა, მთავრობის დავალების შესაბამისად, განახორციელა:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რითაც უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა;
- UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანია, რაც მოიცავდა სოციალური კლიპის და საინფორმაციო ბუკლეტის დამზადებას და გავრცელებას, ინფორმაციის გავრცელებას მასმედიის საშუალებით, შეხვედრებს მიზნობრივ ჯგუფებთან და ინტერნეტ გვერდების ადმინისტრატორებთან, რომელთაც ეთხოვათ ისეთი შინაარსის განცხადებების ატვირთვის დაბლოკვა, რომლითაც მოხდებოდა სუპერთასის ბილეთების უნებართვოდ გასაყიდად შეთავაზება;
- მატჩის ბილეთების უნებართვოდ გასაყიდად შეთავაზებისა და UEFA-ს ნებართვის გარეშე კომერციულ ღონისძიებაში გამოყენების აღსაკვეთი ქმედებები;
- შესაბამის სამთავრობო უწყებებთან ერთად, UEFA-ს კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის გამოვლენა, აღკვეთა და კონტრაფაქციული საქონლის კონფისკაცია;
- შესაბამის სამთავრობო უწყებებთან ერთად, აღიკვეთა გარე ვაჭრობა, არასათანადო რეკლამის გავრცელება, ასევე, ნებისმიერ წამახალისებელ ღონისძიებში UEFA-ს კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება წამახალისებელი ნივთების გავრცელების, სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით განხორციელებული არასათანადო რეკლამის სახით;
- სამაუწყებლო კომპანიების მიერ მატჩის უკანონო ტრანსლირების გამოვლენა და აღკვეთა;
- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მატჩის საჯაროდ უნებართვოდ ტრანსლირების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების კოორდინირება მთავრობის განკარგულებით დაევალა საქპატენტთან არსებულ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს. საქპატენტის თანამშრომლები, UEFA-ს წარმომადგენლებთან ერთად, უშუალოდ ახორციელებდნენ საჯარო ჩვენების ადგილის, ფან-ზონების და კომერციული პერიმეტრის მონიტორინგს. საქპატენტის მიერ გაწეულმა საქმიანობამ UEFA-სგან მიიღო უმაღლესი შეფასება.

| ობიექტი: სასაქონლო ნიშანი | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული ნიშნები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | 805 | 913 | 1092 | 479 | 474 | 452 |
| | უცხოური | 842 | 782 | 722 | 698 | 665 | 639 |
| საერთაშორისო პროცედურა | | 3457 | 3130 | 3437 | 2975 | 2958 | 3278 |
| სულ | | 5104 | 4825 | 5251 | 4152 | 4097 | 4369 |



‘15

# გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

# გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაციების დახვეწისა და განახლების, გეოგრაფიული აღნიშვნების ეფექტური კონტროლის სისტემის შემუშავების მიზნით, 2015 წელს საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- შემცირდა რეგისტრაციის საფასურები და ნაცვლად 430 აშშ დოლარის ეკვივალენტისა ეროვნულ ვალუტაში, განისაზღვრა 60 აშშ დოლარის ეკვივალენტით, რამაც ხელსაყრელი გახადა ახალი ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის პროცედურის განხორციელება;
- ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა WIPO-ს პუბლიკაცია გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით, რომელიც დაეხმარება ფერმერებს, მეწარმეებს, პატენტრწმუნებულებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებაში;
- დასრულდა „მაჭახელას თაფლის“, „ახალქალაქის კარტოფილის“, „ტყიბულის მთის ჩაის“ და „ქუთაისის მწვანილის“ გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის პროცედურა, რაც გამოიწვევს კონკურენტუნარიანი და ხარისხიანი ქართული პროდუქციის გაზრდას ბაზარზე;
- დარეგისტრირდა 5 ახალი ადგილწარმოშობის დასახელება: „მიტარბი“, „სქური“, „უწერა“, „ბოლნისი“ და „ზვარე“ ნატურალური მინერალური წყლებისთვის, რაც დაიცავს მომხმარებელს აღნიშნული ადგილწარმოშობის დასახელების ფალსიფიცირებული პროდუქციის არსებობისგან ბაზარზე;
- რეცეპტურის უფრო მოქნილი და ფართო გამოყენების, უფრო მეტი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღების მიზნით, ცვლილება შევიდა გეოგრაფიული აღნიშვნის „სულგუნი“ სპეციფიკაციაში;
- დაფუძნდა ა(ა)იპ „ორიჯინ-ჯორჯია“, რომლის მიზანია საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ბრენდინგის სისტემის განვითარება, კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, გეოგრაფიული აღნიშვნით დაცვადი პროდუქტების გამოვლენა, ინვენტარიზაცია, სპეციფიკაციების დადგენა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა;
- WIPO-ს მხარდაჭერით, განხორციელდა საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი საფრანგეთში, რათა ადგილზე გაცნობოდნენ საფრანგეთის ადგილწარმოშობის და ხარისხის ეროვნული ინსტიტუტის (INAO) მოდელს - კონტროლის სისტემას, მართვის სისტემების შემუშავების პრაქტიკას, პროდუქტის სპეციფიკაციების შედარებითი ანალიზის ჩატარების ხერხებს, პროდუქტის სპეციფიკაციების შესაბამისობის სერტიფიკატების გაცემის პროცედურებს.
- ჟურნალისთვის „IP საქართველო“ მომზადდა და გამოიცა სამეცნიერო სტატიები გეოგრაფიული აღნიშვნების კონკურენტუნარიანობის და განვითარების, მინერალური წყლებისთვის ადგილწარმოშობის გამოყენების და ესპანეთში გეოგრაფიული აღნიშვნების კონტროლის შესახებ.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგი აისახა ქართული ადგილწარმოშობის დასახელებით (4) და გეოგრაფიული აღნიშვნით (5) დაცული პროდუქციის რეგისტრაციის რაოდენობის ზრდაში. წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 49% -ით გაიზარდა დაცული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლებაზე შემოსული განაცხადების რაოდენობა. ასევე, 2015 წელს დაფიქსირდა საერთაშორისო (ლისაბონის შეთანხმება) პროცედურით შემოსული განაცხადების 156%-მდე მატება.

პროდუქტებში, რომელზეც გაიცა გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების გამოყენების უფლება, ლიდერობს ღვინის დასახელებები:

- „ხვანჭკარა“, „წინანდალი“ და „ქინძმარაული“ - 6-6 მოწმობა;
- „მუკუზანი“ - 5 მოწმობა;
- „ახაშენი“ და „ნაფარეული“ - 4-4 მოწმობა.

„ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმების“ შესაბამისად, საქართველოზე გავრცელებულ დასახელებებში ლიდერობს:

- მე-17 კლასი და 29-ე კლასი: ხელნაკეთი ხალიჩები და ყველი - 10-10 განაცხადი;
- 29-ე კლასი: ხორცის პროდუქტები - 6 განაცხადი;
- 29-ე კლასი: ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული - 3 განაცხადი.

2015 წელს, ლისაბონის შეთანხმებით საქართველოზე ადგილწარმოშობის დასახელებების გავრცელების მოთხოვნით, აქტიურობა დაფიქსირდა იტალიის (21 განაცხადი), ირანის (11 განაცხადი) და სლოვაკეთის (1 განაცხადი) რესპუბლიკებიდან.

2015 წელს ხელი მოეწერა ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტს, რომელიც შვეიცარიაში მიმდინარე დიპლომატიურ კონფერენციაზე დამტკიცდა. აქტი საშუალებას იძლევა, განხორციელდეს გეოგრაფიული აღნიშვნების საერთაშორისო რეგისტრაცია, ისევე როგორც საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და ლისაბონის შეთანხმების მონაწილე მხარეების წრის გაფართოება. აქტის ტექსტი ლისაბონის სისტემის სამუშაო ჯგუფის მიერ შეიქმნა, სადაც საქართველოს თავმჯდომარის მოადგილის სტატუსი ჰქონდა. ლისაბონის შეთანხმების ჟენევის აქტი ძალაში შევა სამი თვის შემდეგ, როდესაც ხუთი უფლებამოსილი მხარე ჩააბარებს თავის სარატიფიკაციო ან მიერთების დოკუმენტს.

| ობიექტი: გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული დასახელებები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 |
| ეროვნული პროცედურა | გეოგრაფიული აღნიშვნა | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 4 |
| | ადგილწარმოშობის დასახელება | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 5 |
| საერთაშორისო პროცედურა (ლისაბონის შეთანხმება) | | 7 | 25 | 64 | 6 | 8 | 33 |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | | 53 | 35 | 52 | 61 | 34 | 47 |



‘15

# დიზაინი

# დიზაინი

დიზაინის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქპატენტმა 2015 წელს განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- ქართულ ენაზე ითარგმნა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სახელმძღვანელო (გაიდლაინი), რომელიც დიზაინის განაცხადის წარდგენის, ექსპერტიზის და დიზაინის დაცვის ძირითადი კრიტერიუმების განსაზღვრის საკითხებში დაეხმარება ექსპერტებს ერთიანი, სწორი და თანმიმდევრული პრაქტიკის შემუშავებაში;
- დიზაინების საერთაშორისო (ლოკარნოს) კლასიფიკაციის რედაქტირება მე-10 რედაქციის შესაბამისად, რომელიც საშუალებას იძლევა დიზაინის კლასიფიკაცია მოხდეს მოქმედი საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად;
- საქპატენტის ვებ-გვერდისთვის მომზადდა დიზაინის სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული კითხვა-პასუხი (FAQ) „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელმაც მისცა საშუალება განმცხადებელს პოპულარულ ენაზე გაეცნოს დიზაინის განაცხადის წარდგენასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს;
- ჟურნალისთვის „IP საქართველო“ მომზადდა სტატია დიზაინის ცნებისა და დაცვის კრიტერიუმების შესახებ.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგი გამოიხატა ეროვნული განაცხადების რაოდენობის ზრდაში. 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, განაცხადების რიცხვი გაიზარდა 37%-მდე და მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 80% ადგილობრივ განმცხადებელზე მოდის. განაცხადების დიდი რაოდენობა მიეკუთვნება დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის შემდეგ კლასებს:

- მე-9 კლასი: ტარა;
- მე-19 კლასი: ნაბეჭდი პროდუქცია;
- 32-ე კლასი: გრაფიკული სიმბოლო, ლოგო, ზედაპირის მოხატულობა.

რამდენიმე განაცხადი შემოვიდა მშენებლობის, ავეჯის, საათების და კვების პროდუქტების კლასში, ასევე, თითო განაცხადი დაფიქსირდა სამგზავრო საკუთნოს, ნატურალური ფურცლოვანი მასალების, საოჯახო ნივთების, ინფორმაციის ჩამწერი მოწყობილობის, სათამაშოების, სანათი ხელსაწყოების, თამბაქოს ნაწარმის, საჭმლის ან სასმელის მოსამზადებელი მანქანების კლასებში. მცირედი მატება, 2014 წელთან შედარებით, 5 განაცხადით მეტი, დაფიქსირდა საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მიღებული დიზაინის განაცხადების რაოდენობაზე. საქართველოს ტერიტორიაზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით, განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტებად კვლავ რჩება საათები, ტარა და საიუველირო ნაწარმი, კვლავ აქტიურობენ განმცხადებლები შვეიცარიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან. 2015 წელს მოიმატა განმცხადებლების რიცხვმა თურქეთიდან და უკრაინიდან.

| ობიექტი: დიზაინი | | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული დიზაინის განაცხადები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 |
| ეროვნული პროცედურა | ადგილობრივი | იურიდიული პირი | 12 | 18 | 20 | 11 | 13 | 12 |
| | | ფიზიკური პირი | 27 | 25 | 33 | 22 | 22 | 29 |
| | უცხოური | | 10 | 5 | 13 | 9 | 4 | 13 |
| საერთაშორისო პროცედურა | | | 261 | 257 | 262 | 205 | 242 | 234 |
| **სულ** | | | **310** | **305** | **328** | **247** | **281** | **288** |



‘15

# გამოგონება

# გამოგონება

საქართველოში ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და გამოგონების და სასარგებლო მოდელის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის, საქპატენტმა 2015 წელს განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- 70%-იანი შეღავათი დაწესდა გამოგონების და სასარგებლო მოდელის დაპატენტების საფასურებზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისთვის. აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის დღიდან გაიზარდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების აქტივობა, რაც გამოიხატა მათ მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობის ზრდაში. საფასურის შემცირება ხელს შეუწყობს საქპატენტში გამოგონებასა და სასარგებლო მოდელზე მეტი ადგილობრივი განაცხადის წარდგენასაც;
- საერთაშორისო კომერციული და არაკომერციული საპატენტო და არასაპატენტო ბაზების გამოყენებით საპატენტო-საინფორმაციო მომსახურების უფასოდ გაწევა დაიწყო საქპატენტმა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რაც გულისხმობს პატენტუნარიანობის წინასწარ შეფასებას და ინფორმაციის მოძიებას ტექნიკის დონის შესახებ კონკრეტულ დარგში. აღნიშნული მეცნიერებსა და ინჟინრებს ეხმარებათ სრულად გაეცნონ მათი საქმიანობის სფეროებში არსებულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიღწევებს;
- გაფორმდა ხელშეკრულება WIPO-სთან, საპატენტო ინფორმაციის (ASPI) და სამეცნიერო ლიტერატურის (ARDI) პროგრამებზე. ASPI-ის ფარგლებში, შეძენილია PatBase-სა და Thomson Innovation-ის კომერციული პლატფორმები, რომელიც ითვლება წამყვან პროდუქტებად საპატენტო სფეროში. ARDI -ის პროგრამა სამეცნიერო ლიტერატურის ძიების ინსტრუმენტია, რომელიც მთლიანი ტექსტის მოწოდების სერვის AutoDoc-თან ერთად სამეცნიერო ლიტერატურაზე წვდომის საშუალებას იძლევა. აღნიშნული სისტემები გამოიყენება საპატენტო ძიების ჩასატარებლად და მათი გამოყენებით გაიზარდა ექსპერტიზის ხარისხი და საქმისწარმოების ვადები;
- გაუმჯობესდა EPO-ს კომერციული საძიებო სისტემის Global Patent Index (GPI)-ის გამოყენება ექსპერტიზის პროცესში, ექსპერტიზის ხარისხის და ვადების გასაუმჯობესებლად;
- ჟურნალისთვის „IP საქართველო" მომზადდა და დაიბეჭდა სამეცნიერო სტატიები სასარგებლო მოდელის დაცვის თავისებურებებზე, პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შეფასების სპეციფიკურ საკითხებსა და საერთაშორისო მიდგომებზე.

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, 2015 წელს საქპატენტში განსახილველად შემოსული გამოგონებისა და სასარგებლო მოდელზე 30 განაცხადი შემოვიდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სახელით, რაც წინა წელთან შედარებით 150%-იანი ზრდაა. წინა წელთან შედარებით, 33%-ით გაიზარდა განაცხადები სასარგებლო მოდელზე, ამასთან, 20%-იანი ზრდა მოდის ეროვნულ განაცხადებზე. გამოგონებასა და სასარგებლო მოდელის, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ განაცხადებში 2015 წელს ლიდერობს განაცხადები ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნებზე. 2015 წელს ყველაზე მეტი უცხოური განაცხადი შემოვიდა აშშ-დან ( 52), იტალიიდან (19) და გერმანიიდან (11).

გამოგონებაზე ეროვნული განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილების დარგები: პირველადი მოთხოვნილების საგნებზე -39 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები - 17 განაცხადი;
- C განყოფილება: ქიმია, მეტალურგია - 14 განაცხადი.

გამოგონებაზე უცხოური განაცხადების რაოდენობის მიხედვით წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილების დარგები: პირველადი მოთხოვნილების საგნები - 80 განაცხადი;
- C განყოფილება: ქიმია; მეტალურგია - 72 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები - 7 განაცხადი.

სასარგებლო მოდელზე ეროვნული განაცხადების რაოდენობის მიხედვით, წამყვანი განყოფილებებია:

- A განყოფილების დარგები: პირველადი მოთხოვნილების საგნები -24 განაცხადი;
- E განყოფილება: მშენებლობა; სამთო საქმე - 11 განაცხადი;
- B განყოფილება: ტექნოლოგიური პროცესები - 8 განაცხადი.

| ობიექტი: გამოგონება | | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული პატენტები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 |
| ეროვნული პროცედურით | ადგილობრივი | იურ. პირი | 7 | 10 | 19 | 5 | 5 | 3 |
| | | ფიზ. პირი | 107 | 100 | 79 | 99 | 53 | 58 |
| | უცხოური | | 20 | 8 | 2 | 9 | 11 | 14 |
| საერთაშორისო პროცედურით | | | 199 | 179 | 171 | 173 | 139 | 131 |
| სულ | | | 333 | 297 | 271 | 286 | 208 | 206 |




| ობიექტი: სასარგებლო მოდელი | | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული პატენტები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 |
| ეროვნული პროცედურით | ადგილობრივი | იურ. პირი | 0 | 5 | 1 | 9 | 3 | 3 |
| | | ფიზ. პირი | 63 | 45 | 59 | 34 | 42 | 36 |
| | უცხოური | | 1 | 1 | 3 | 0 | 1 | 1 |
| საერთაშორისო პროცედურით | | | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 1 |
| სულ | | | 65 | 51 | 68 | 43 | 46 | 41 |



‘15

# ახალი
# ჯიშები

# ახალი ჯიშები

საქართველოში მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებისთვის, 2015 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ცენტრმა - საქპატენტი, განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- მიუერთდა UPOV-ის საერთაშორისო ახალ ბაზას PLUTO, სადაც ხდება საქართველოში დარეგისტრირებულ მცენარეთა ახალ ჯიშებზე ინფორმაციის განთავსება. UPOV-ის კონვენციით გათვალისწინებული ცვლილებებით განხორციელდა PLUTO მონაცემთა ბაზის ველების შევსება. ჯიშების მონაცემთა ბაზა შეივსო როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი დამატებითი მონაცემებით და UPOV-კოდებით;
- ქართულ ენაზე ითარგმნა UPOV-ის სახელმძღვანელოები (გაიდლაინები) განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მზესუმზირას (Helianthus annuus L.) და ცერცველას (Vicia faba L.) ახალი ჯიშების მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები, რაც დაეხმარება სელექციონერებს საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდეს გამოცდა ძირითად კრიტერიუმებზე;
- მომზადდა ბროშურა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვის საკითხებზე, რაც საშუალებას მისცემს განმცხადებლებს პოპულარულ ენაზე გაეცნონ მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების რეგისტრაციის პროცედურის სამართლებრივი დაცვის მოთხოვნებს;
- საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო სათესლე მასალისა და მეთესლეობის შესახებ პირველი კანონპროექტის „თესლის შესახებ“ შემუშავებაში, რომელიც დაარეგულირებს კონდიცირებული თესლის წარმოებას საქართველოში;
- ჩართული იყო FAO-ს მიერ ორგანიზებულ საქართველოს მეთესლეობის სექტორის სერთიფიცირების საკითხების მომზადებაში, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერს ჰქონდეს კონდიცირებული სათესლე მასალა, შესაბამისად მოახდინოს მისი კომერციალიზაცია;
- მონაწილეობა მიიღო აგრობიო-მრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმის 2014-2020 შემუშავების სამუშაო ჯგუფში, რომელმაც შეიმუშავა კანონპროექტი: ,,გენეტიკურ რესურსებზე და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი განაწილება“, რომელიც ხელს შეუწყობს გენეტიკური რესურსით მდიდარ საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ აღმავლობას.

2015 წელს მოიმატა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენის გამოცემის რაოდენობამ, სადაც აისახა რეგისტრაციის დაახლოებით 78%-იანი ზრდის მაჩვენებელი. კულტურების მიხედვით განაცხადების დიდი რაოდენობა, 15 განაცხადი, კარტოფილის ახალ ჯიშებზე შემოვიდა. დაფიქსირდა ორი განაცხადი ლობიოს, ხორბლის და ერთი განაცხადი ბროკოლის ჯიშზე. 2015 წელს დაფიქსირდა იშვიათი განაცხადები ცხოველის ახალ ჯიშზე - თუთის აბრეშუმხვევიაზე, 4 განაცხადი.

| ობიექტი: მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები | | შემოსული განაცხადები | | | რეგისტრირებული ჯიშები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 |
| ადგილობრივი | იურიდიული პირი | 15 | 1 | 0 | 3 | 3 | 1 |
| | ფიზიკური პირი | 9 | 15 | 9 | 2 | 9 | 5 |
| უცხოური | იურიდიული პირი | 12 | 45 | 15 | 0 | 15 | 42 |
| | ფიზიკური პირი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **სულ** | | **36** | **61** | **24** | **5** | **27** | **48** |



'15

# საავტორო უფლებები

# საავტორო უფლებები

2015 წელს დაფიქსირდა საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირების რაოდენობის კლება დაახლოებით 15% -ით. დეპონირებების უმრავლესობა ეხებოდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

| ობიექტი | კატეგორია | 2014 | 2015 |
|---|---|---|---|
| ლიტერატურა | ანთოლოგია | - | 1 |
| | აღწერილობა | 3 | - |
| | დრამატურგიული ნაწარმოები | - | 1 |
| | თარგმანი | 1 | 3 |
| | კრებული | 4 | 4 |
| | ლიტერატურული ნაწარმოები | 32 | 33 |
| | სინოფსისი | 4 | 5 |
| | სცენარი | 40 | 23 |
| | შედგენილი ნაწარმოები | | 4 |
| | წიგნი | 20 | - |
| მეცნიერება | კომპიუტერული პროგრამა | 18 | 11 |
| | მეთოდური ნაშრომი | 32 | 13 |
| | მიმოხილვა | - | 1 |
| | სამეცნიერო ნაშრომი | 33 | 27 |
| | სამეცნიერო სტატია | 2 | 9 |
| | სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი | 16 | 14 |
| | სახელმძღვანელო | - | 4 |
| | შედგენილი ნაწარმოები | - | 6 |
| მონაცემთა ბაზა | მონაცემთა ბაზა | 3 | 2 |
| | ცნობარი | 3 | - |
| ხელოვნება | ადაპტაცია | 1 | - |
| | არქიტექტურული პროექტი | 16 | 16 |
| | აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები | 9 | 5 |
| | აღწერილობა | 1 | - |
| | დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება | 3 | - |
| | დიზაინი | 3 | 8 |
| | ესკიზი | 5 | 4 |
| | თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება | 1 | 4 |
| | კრებული | 1 | - |
| | ლოგო | 1 | 4 |
| | მულტიმედიური ნაწარმოები | - | 1 |
| | მუსიკალური არანჟირება | 1 | - |
| | მუსიკალური ნაწარმოები | 13 | 12 |
| | მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით | 17 | 15 |
| | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 9 | 16 |
| | ტელეფილმი | 1 | - |
| | ფერწერა | 3 | 1 |
| | ფოტოგრაფია | 1 | 5 |
| | წიგნი | 2 | - |
| სულ | | 299 | 252 |



# კანონშემოქმედება და სამართალწარმოება/ 2015

2015 წელს ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე განხილვა დასრულდა შესაბამის უწყებებთან და დასკვნისთვის გადაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს. ცვლილებები და დამატებები, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას, შეეხო შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

- „საქართველოს საპატენტო კანონი“;
- „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საპატენტო კანონში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების, დიზაინის და სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისას, მფლობელს, ენიჭება უფლებამოსილება მოითხოვოს ობიექტების, რომლებიც არღვევს მის განსაკუთრებულ უფლებებს, ბრუნვიდან ამოღება, მისი განადგურება, ასევე, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოსახულების განადგურება და ინტერნეტში განთავსებული მასალის წაშლა, ნებისმიერი ტექნიკური საშუალებების განადგურება, რომლითაც ის მზადდება. ამავე ცვლილებებით, განსაკუთრებული უფლებების მფლობელის შეხედულებისამებრ, განისაზღვრება მიყენებული ზიანის, მიღებული სარგებლისა და ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის მოთხოვნის უფლებამოსილება. ამასთან, დგინდება ზიანის ოდენობისა და ფულადი კომპენსაციის განსაზღვრის სამართლებრივი მექანიზმები. ახალი ცვლილებებით, ასევე, გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განსაკუთრებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დროებითი, მტკიცებულებათა და სარჩელის უზრუნველყოფის საპროცესო ღონისძიებები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფლებების ეფექტური აღსრულების კუთხით.

საქართველოს საპატენტო კანონის ცვლილებების პროექტის მიხედვით:

- კანონით განისაზღვრება გამოგონების პატენტზე, რომელიც ეხება მცენარეთა დაცვის საშუალებებს, დამატებითი დაცვის სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- ფარმაცევტული პროდუქტებისათვის, რომლებისთვისაც ჩატარდა პედიატრიული კვლევები, დადგინდება დამატებითი ექვსთვიანი დაცვის ვადა;
- გათვალისწინებულია ე.წ. „ბოლარის გამონაკლისით“ ცნობილი რეგულაციის შემოღება, რომელიც ხელს შეუწყობს პატენტის მფლობელის უფლებებისა და საზოგადოების ინტერესების დაბალანსებას;
- განისაზღვრება, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კომპეტენტური ორგანოს ნებართვის საფუძველზე, პატენტით დაცული გამოგონების ან სასარგებლო მოდელის გამოყენების შესაძლებლობა;
- და „TRIPS“-ის შეთანხმებით გათვალისწინებულ ე.წ. ჯვარედინი ლიცენზირების პრინციპის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს პატენტზე უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთას.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტის მიხედვით:

- უფლების მფლობელებს, გარკვეულ შემთხვევებში, მიენიჭება დაცვის დამატებითი ვადა;
- დაზუსტდება კანონის არსებული რედაქციით განსაზღვრული - ნაწარმოების საჯარო გადაცემის უფლების შესახებ მუხლი.

2015 წლის UEFA-ს სუპერთასის თბილისში ჩატარებასთან დაკავშირებით, ევროპული ფეხბურთის ასოციაციის კავშირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის, საქპატენტმა მოამზადა ნორმატიული აქტების პროექტები:

- ცვლილება შევიდა რეკლამის შესახებ კანონში, რომლითაც UEFA-ს 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში, ნებართვის გარეშე აიკრძალა ნებისმიერი სახის რეკლამა UEFA-ს რეპუტაციით სარგებლის მიღების მიზნით. ასევე, 2015 წლის სუპერთასის მატჩზე დასასწრები ბილეთის გასაყიდად შეთავაზება ან ნებისმიერ კომერციულ ღონისძიებაში გამოყენება;
- გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება, მატჩის გამართვასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების მიზნით, სპეციალური ღონისძიებების

გატარების შესახებ, რომლის შესაბამისადაც უფლებამოსილ უწყებებს დაევალათ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვისა და აღსრულების მიზნით, სპეციალური ღონისძიებების განხორციელება.

საქპატენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველსაყოფად, 2015 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა სხვადასხვა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები:

- გამოიცა თავმჯდომარის ბრძანება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. საბჭო მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური სისტემის დანერგვას, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციასა და ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრას. საბჭოს შემადგენლობაში შედიან იმ უწყების წარმომადგენლები, რომლის ფუნქციები დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასა და აღსრულებასთან (საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი და სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“);
- შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულებაში, რომლის თანახმად გაუქმდა რეგისტრირებული პატენტრწმუნებულებისთვის ატესტაციის ხელახლა გავლის ვალდებულება;
- „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც დარეგულირდა რამდენიმე განმცხადებლის შემთხვევაში მოქმედი შეღავათები მომსახურების საფასურზე;
- საქპატენტში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა ახალი სტრუქტურული ერთეულების დებულება;
- მომზადდა ახალი სტრუქტურული ერთეულის - ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის დებულების პროექტი.

2015 წელს, ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების საზღვარგარეთ დაცვის მიზნით, განხორციელდა სამართლებრივი პროცედურები:

- წარმატებით დასრულდა დავა ორ ჩინურ კომპანიასთან, შესაბამისად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასაქონ-ლო ნიშნების უწყებამ გააუქმა არაკეთილსინდისიერი განზრახვით დარეგისტრირებული ქართული ადგილწარმოშობის დასახელება „ხვანჭკარა“, ,,წინანდალი“, „ქინძმარაული“ და გეოგრაფიული აღნიშვნა ,,ჭაჭა“;
- განხორციელდა ქართული მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „ნაბეღლავი“ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრაციისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები;
- რუსეთის ფედერაციის საპატენტო უწყებაში წარმატებით დასრულდა რეგისტრაციის პროცედურა ექვს ქართულ ადგილწარმოშობის დასახელებაზე: „ხვანჭკარა“, „ტვიში“, „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „მუკუზანი“ და „ახაშენი“;
- გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა ყაზახეთის მთავრობასა და აზერბაიჯანის ინტელექტუალური საკუთრების უწყებასთან.

2015 წელს სააპელაციო პალატაში შემოსული დავების უმრავლესობა (160), სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის საკითხებს ეხებოდა, რაც ინტელექტუალური საკუთრების აღნიშნული ობიექტისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს სასაქონლო ნიშნების განაცხადების 9%-მდე ზრდა დაფიქსირდა და მიუხედავად ამისა, 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, სააპელაციო საჩივრების რაოდენობა დაახლოებით 27%-ით შემცირდა. სააპელაციო საჩივრების რაოდენობის კლება წარმოადგენს საქპატენტის მიერ, 2015 წელს, სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების შედეგს. კერძოდ, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის გაზიარების, ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებებისა და სხვა აქტივობების შედეგად, მოხდა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება ექსპერტიზის სხვადასხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, განმცხადებლისათვის სასაქონლო ნიშნების სფეროში შეიქმნა პროგნოზირებადი გარემო, რაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებისათვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, წინა წელთან შედარებით, 14%-მდე გაიზარდა სააპელაციო პალატის მიერ დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა, რაც აისახა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების რაოდენობის კლებაში.

სააპელაციო პალატისა და ექსპერტიზის მიერ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების რაოდენობის დაახლოებით 14%-იანი კლება დაფიქსირდა 2015 წელს. საქპატენტი მონაწილეობდა 36 სასამართლო განხილვაში, აქედან 29 დავა ეხებოდა სასაქონლო ნიშანს. დავების უმრავლესობა (31) გადაწყდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასარგებლოდ. საქპატენტის მიმართ სარჩელი დაკმაყოფილდა 3 შემთხვევაში, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 73%-ით ნაკლებია. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს სააპელაციო პალატის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. კერძოდ, ექსპერტიზის დროს დაშვებული შეცდომების უმრავლესობის გასწორება ხდება სააპელაციო პალატის ფარგლებში, რაც წარმოადგენს სააპელაციო პალატის უპირველეს ფუნქციას.

| ობიექტი | | 2013 | | | | | 2014 | | | | | 2015 | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიღებული | განხილული | დაკმაყოფილებული სრულად | დაკმაყოფილებული ნაწილობრივ | უარი ეთქვა | მიღებული | განხილული | დაკმაყოფილებული სრულად | დაკმაყოფილებული ნაწილობრივ | უარი ეთქვა | მიღებული | განხილული | დაკმაყოფილებული სრულად | დაკმაყოფილებული ნაწილობრივ | უარი ეთქვა |
| **გამოგონება** | განმცხადებელი | 5 | 4 | 2 | 2 | | 4 | 5 | | 1 | 6 | 1 | 1 | | | 1 |
| | III პირი | | | | | | | | | | | | | | | |
| **სასარგებლო მოდელი** | განმცხადებელი | | | | | | 1 | | | | | 1 | 1 | | | 1 |
| | III პირი | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | | | |
| **დიზაინი** | განმცხადებელი | | | | | | 1 | 1 | | | | - | - | | | |
| | III პირი | 1 | 1 | 1 | | | 2 | 2 | | | 1 | 4 | - | | | |
| **სასაქონლო ნიშანი** | განმცხადებელი | 184 | 198 | 111 | 7 | 80 | 181 | 165 | 75 | 13 | 77 | 132 | 138 | 82 | 11 | 54 |
| | III პირი | 16 | 18 | 2 | 4 | 12 | 17 | 18 | 1 | 2 | 15 | 28 | 23 | 4 | 5 | 14 |
| **სულ** | | **207** | **222** | **117** | **11** | **94** | **204** | **189** | **76** | **16** | **99** | **166** | **163** | **86** | **16** | **70** |

# საზოგადოებასთან ურთიერთობა/ 2015



იცოდე შენი უფლებები

- ფოტოგრაფიული ნაწარმოების დაცვა ხდება საავტორო უფლებებით, რომელიც ავტორს წარმოეშვება მისი შექმნის მომენტიდან.
- საავტორო უფლებების წარმოშობისთვის არ არის სავალდებულო რეგისტრაცია, ან სხვა რაიმე ფორმალობის დაცვა. ავტორის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ნაწარმოების საქპატენტში დეპონირება.
- საავტორო უფლებები მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში.
- ფოტოგრაფიული ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები (ავტორობის უფლება, სახელის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, რეპუტაციის პატივისცემის უფლება და სხვ.) მოქმედებს უვადოდ და განუსხვისებელია.
- ავტორს უფლება აქვს მიიღოს ჰონორარი მისი ფოტოგრაფიული ნაწარმოების გამოყენებისთვის.
- ფოტოგრაფიული ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს, ნება დართოს ან აკრძალოს ნებისმიერი სახით მისი ნაწარმოების გამოყენება (რეპროდუცირება, გავრცელება, გადამუშავება და სხვ.).
- ინტერნეტში განთავსებულ ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე, ავტორს უნარჩუნდება ყველა ზემოხსენებული საავტორო უფლება.
- ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებები შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ხელშეკრულებით ან მემკვიდრეობით.
- ქონებრივი უფლებები დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილ ფოტოგრაფიულ ნაწარმოებზე, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის (სამსახურებრივი ნაწარმოები) ან შეკვეთის შესრულებასთან, ეკუთვნის შესაბამისად დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ფოტოგრაფიული ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს მოითხოვოს:
  - უფლების აღიარება;
  - უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს;
  - ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით;
  - ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო მისი უფლებების დარღვევის შედეგად;
  - ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა;
  - მისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.
- საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით!

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი

3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: (+995 32) 225-25-33
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge




საქპატენტის სამოქმედო გეგმისა და DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, 2015 წელს საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- დაიწყო საინფორმაციო კამპანია „იცოდე შენი უფლებები“, რომელიც ითვალისწინებს შეხვედრებს სხვადასხვა კატეგორიის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელებთან. საანგარიშო წელს გაიმართა სამუშაო შეხვედრა ხმის ჩამწერი სტუდიების, საგამომცემლო სფეროს წარმომადგენლებთან, ფოტოგრაფებთან და მუსიკოსებთან, რომელთაც განემარტათ საავტორო უფლებები, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები საავტორო უფლებების დარღვევისას. მომზადდა სპეციალური პრეზენტაცია და საინფორმაციო ფლაერი კონკრეტული კატეგორიის ინტერესების გათვალისწინებით;
- განახორციელა კამპანია „ხმა აიმაღლე მუსიკისთვის“ - რომელიც ეძღვნებოდა 26 აპრილს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეს. კამპანიის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ბრძოლა მეკობრეობისა და საავტორო უფლებების დარღვევების წინააღმდეგ. ღონისძიების ფარგლებში, ჩატარდა კონკურსი მუსიკალური ნაწარმოების შექმნაზე და გამარჯვებული მუსიკალური ნაწარმოები ჩაიწერა და გამოიცა CD-დისკზე, მასზე შეიქმნა ვიდეო რგოლი და გავრცელდა სოციალური ქსელის მეშვეობით. გაიმართა სამუშაო შეხვედრა მუსიკოსებთან საავტორო უფლებების დაცვის თემაზე, შეიქმნა სოციალური ვიდეო რგოლი და გავრცელდა მასმედიის საშუალებით. ჩაიწერა ვიდეორგოლები მუსიკოსების მონაწილეობით, საავტორო უფლებების დაცვის მოწოდებით. დაიბეჭდა და დარიგდა საინფორმაციო ფლაერები საავტორო უფლებების შესახებ;







- განხორციელდა საინფორმაციო კამპანია სახელწოდებით „UEFA-ს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა“, რომლის მიზანი იყო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება კანონით აკრძალული ქმედებების და აღნიშნული ქმედებების ჩადენის შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებთან დაკავშირებით. კამპანიის ფარგლებში მომზადდა სოციალური ვიდეო-რგოლი, რომელიც განთავსდა ყველა წამყვანი სატელევიზიო არხის ეთერში, მათ შორის, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის და სპორტული ტელევიზიის ეთერში. ასევე, აიტვირთა სპორტულ ვებ-გვერდებზე და მოხდა ვიდეო-რგოლის ფასიანი გავრცელება სოციალურ ქსელში. დამზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ფლაერი UEFA-ს მიერ განსაზღვრულ პერიმეტრებზე, სადაც სპეციალურად მომზადებულმა სტუდენტთა ჯგუფმა გაავრცელა ფლაერები და დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიზნობრივ ჯგუფებს;



- მომზადდა და გავრცელდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „IP საქართველო“, რომელშიც სამეცნიერო სტატიების ავტორები საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თანამშრომლები და პატენტრწმუნებულები არიან. ჟურნალში დაიბეჭდა ცნობილი ფიზიკოსის, გია დვალის ინტერვიუ, სპეციალურად ჟურნალისთვის „IP საქართველო“;






- საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების პოპულარიზაციის, ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების პრეზენტაციის მიზნით, გაიმართა აღნიშნული პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაცია, რომლისთვისაც შეიქმნა და გავრცელდა პროდუქტების შესახებ საინფორმაციო ბარათები და რუკები;

- საზღვარგარეთ ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, გამოფენა გაიმართა WIPO-ს წევრი სახელმწიფოების რიგით 55-ე ასამბლეის ფარგლებში (ჟენევა, შვეიცარია). ქართული ანბანი, ქართული ღვინის ჭურჭელი, ქართული ნაციონალური ტანსაცმელი, უნიკალური ლანდშაფტის ფოტოები, არქეოლოგიისა და ოქრომჭედლობის სამუზეუმო ნიმუშების მინაბაძები, მერაб კოკოჩაშვილის ფილმი „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი” იხილეს, მოისმინეს ქართული



პოლიფონია ანსამბლ „რუსთავი”-ს შესრულებით, დააგემოვნეს ქართული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო და გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული ქართული ყველი და ტკბილეული 188 ქვეყნის 1000-მდე დელეგატმა.



# საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობა/ 2015

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სამოქმედო გეგმის თანახმად, 2015 წელს განხორციელდა საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობისკენ მიმართული ღონისძიებები.
სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის XII მუხლის, II პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, 2015 წელს, გამოიცა „სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის“ 24 ნომერი (№1(413) – 24(437), ქართულ და ინგლისურ ენაზე. ასევე, გამოიცა ორენოვანი „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენის“ 6 ნომერი (№1(25) – 6(30). აღნიშნულ წელს, სამოქმედო გეგმის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას და დარგობრივი ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობას, საქპატენტის სტამბაში დაიბეჭდა შემდეგი მასალები:

- განახლებული სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „IP საქართველო“;
- ბროშურები: „გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელებები“, „თქვენი ნიშნების დაცვა საზღვარგარეთ – მადრიდის სისტემა“ (WIPO-ს გამოცემის თარგმანი), „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება საქართველოში“, „მარაქეშის შეთანხმება“, „პეკინის შეთანხმება“ და „ხშირად დასმული შეკითხვები“, დიზაინის, ახალი ჯიშების, გამოგონების და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ;
- ტრიპლეტები: „ინტელექტუალური საკუთრება“, „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები“, „პასუხისმგებლობა საავტორო უფლებების დარღვე-ვისთვის“;
- ფლაერები კამპანიისთვის „იცოდე შენი უფლებები“, ფოტოგრაფებისა და გამომცემლებისთვის;
- ფლაერი „გეოგრაფიული აღნიშვნა“ კამპანიისთვის „ერთად შევეგებოთ ევროპას“;
- ფლაერი UEFA-ს 2015 წლის სუპერთასის მატჩთან დაკავშირებით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის პრევენციისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით;
- საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების საინფორმაციო ბარათები;
- საქართველოში რეგისტრირებული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების, ყველისა და სხვა გეოგრაფიული აღნიშვნების რუკები.

გამოსაცემად მომზადდა WIPO-ს საავტორო უფლებების, შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ ხელშეკრულებების კომენტარები. ასევე, საანგარიშო წელს, საქპატენტმა პოლიგრაფიული მომსახურების სახით, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში და გამოსცა:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ალბომი „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“;
- საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ჟურნალი „COPYRIGHT“, მე-11 და მე-12 ნომერი;
- საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული წიგნი „თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია“, ავტორი – პოეტი, სალომე სულაბერიძე;
- საქართველოს სომელიელთა ასოციაციის ჟურნალი „ღვინო“, მე-2 ნომერი, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ლიტერატურისა და მონაცემთა ბაზებთან წვდომის გამარტივების მიზნით, 2015 წელს ადგილმდებარეობა შეეცვალა საქპატენტის ბიბლიოთეკას და მცხეთიდან თბილისში გადავიდა. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საპატენტო ინფორმაციის ფონდის განახლების მიზნით, საქპატენტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- შეძენილ იქნა ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მსოფლიოში ცნობილი ექსპერტების ავტორობით შექმნილი 10 ახალი წიგნი;
- აღდგა პერიოდული გამოცემების „IP World” და „Managing IP”-ს გამოწერა;
- ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის პროექტის ფარგლებში, WIPO-ს დახმარებით დაიწყო ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით შევსება;
- გაგრძელდა საპატენტო ბიბლიოთეკების პროექტზე PATLIB-ზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ფასიან მონაცემთა ბაზებზე და არასაპატენტო ლიტერატურაზე უფასო წვდომას საქპატენტის ბიბლიოთეკის მომხმარებლებისთვის;
- უფასო კონსულტაცია გაეწია 500-მდე პოტენციურ განმცხადებელს.

2015 წელს, განმცხადებელთა მომსახურების, კონსულტაციისა და საქმისწარმოების გამარტივების მიზნით, ინტელექტუალური საკუთრების უწყების ადმინისტრაციამ ოფისი გახსნა თბილისში, რამაც კომფორტული გახადა განმცხადებელთა წვდომა საქპატენტის ადმინისტრაციულ ერთეულებთან. აიწყო ლოკალური ქსელი, რომლის ინტეგრაციაც მოხდა ცენტრალური ოფისის (მცხეთის) ინფრასტრუქტურასთან. საანგარიშო წელს საქპატენტის კანცელარიაში შემოვიდა და დამუშავდა 20000-მდე დოკუმენტი და კორესპონდენცია. ობიექტების მიხედვით შემოსული განაცხადების და კორესპონდენციის რაოდენობა, წლების მიხედვით შემდეგია:

| ობიექტი | 2013 | 2014 | 2015 |
|---|---|---|---|
| გამოგონება | 333 | 297 | 285 |
| სასარგებლო მოდელი | 65 | 51 | 54 |
| დიზაინი | 310 | 305 | 328 |
| სასაქონლო ნიშანი | 5104 | 4825 | 5251 |
| გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება | 53 | 61 | 34 |
| ახალი ჯიშები | 36 | 61 | 24 |
| საავტორო უფლებები | - | 299 | 252 |
| **სულ** | **5901** | **5899** | **6228** |
| **კორესპონდენცია** | **11133** | **13671** | **10986** |

# ფინანსები/ 2015

2015 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სამოქმედო გეგმის შესრულების ფინანსური უზრუნველყოფისთვის, რესურსების და საბიუჯეტო პროცესის მართვის, ასევე, შესყიდვების ორგანიზების ეფექტური განხორციელებისთვის, შესრულდა შემდეგი ქმედებები:

- უწყება გადავიდა სახელმწიფო ხაზინის მომსახურების ერთიან ანგარიშზე საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის საფუძველზე, რაც გულისხმობს ხაზინისა და ბიუჯეტის მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას;
- დაახლოებით 39%-ით გაიზარდა მიღებული საკასო შემოსავალი, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით;
- ფულადი სახსრების ხარჯვით ნაწილში (საკასო ხარჯები) დაფიქსირდა დაახლოებით 5%-იანი კლება, რაც განაპირობა საქონლის და მომსახურების, სხვა ხარჯების და ხელფასის ფონდში წარმოქმნილმა ეკონომიამ;
- სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად, განხორციელდა გამარტივებული შესყიდვები (342 ხელშეკრულება ღირებულებით 605241 ლარი), გამარტივებული ელექტრონული (23 ტენდერი ღირებულებით 277584 ლარი) და კონსოლიდირებული ტენდერები (9 ტენდერი ღირებულებით 102658 ლარი). შედეგად იქნა მიღწეული 51676 ლარის ეკონომია;
- 13 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ უწყებამ თავის ბიუჯეტის ფარგლებში მოახდინა კორექტირება და სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართა 1000000 ლარი;
- თანამშრომლების თანამდებობრივი სარგოდან ყოველთვიურად ირიცხება თანხები სოლიდარობის, დიმიტრი ცინცაძის სახელობის და „ევროპა დონა ჯორჯიას“ საქველმოქმედო ფონდებში. დიმიტრი ცინცაძის სახელობის ფონდისაგან გაწეული მხარდაჭერისთვის 2015 წელს საქპატენტს გადაეცა მადლობის სიგელი.

2015 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ მოთხოვნილი ფინანსური მონაცემები, საქპატენტის მიერ ოპერატიულად და სრულად იქნა მიწოდებული, რისთვისაც უწყებას სპეციალური ჯილდო გადაეცა, „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის“.

**ბიუჯეტის შემოსულობები (საკასო მაჩვენებლები)**

ათასი ლარი

| # | დასახელება | გეგმა | საკასო შემოსავალი | შედეგი +/- |
|---|---|---|---|---|
| **1** | **შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან** | **6700** | **8994.6** | **2294.6** |
| 1.1 | შემოსავლები არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან | 4200 | 5538.4 | 1338.4 |
| 1.2 | შემოსავალი რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაწეული მომსახურებიდან | 2500,0 | 3456.2 | 956.2 |
| **2** | **შემოსავლები არაძირითადი საქმიანობიდან** | **100** | **468.5** | **368.5** |
| 2.1 | გრანტები | 0 | 7.9 | 7.9 |
| 2.2 | სხვა შემოსავლები არაძირითადი საქმიანობიდან | 100 | 460.6 | 360.6 |
| 2.21 | მათ შორის დადებითი საკურსო სხვაობა | 0 | 452,6 | 452,6 |
| **შემოსულობების ჯამი** | | **6800** | **9463.1** | **2663.1** |

**ბიუჯეტის გადასახდელები (საკასო მაჩვენებლები)**

ათასი ლარი

| ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | დასახელება | გეგმა | საკასო ხარჯი | შედეგი +/- |
|---|---|---|---|---|
| **21** | **შრომის ანაზღაურება** | **3366,7** | **3310,9** | **-55,8** |
| | მათ შორის: | | | |
| 21111 | თანამდებობრივი სარგო | 2299,7 | 2282,1 | -17.6 |
| 21113 | პრემია | 767,0 | 736,4 | -30,6 |
| 21114 | დანამატი | 300,0 | 292,4 | -7,6 |
| **22** | **საქონელი და მომსახურება** | **1710,0** | **1606,5** | **-103,5** |
| 222 | მათ შორის, მივლინება | 150,0 | 137,8 | -12,2 |
| **26** | **გრანტი** | **1005,0** | **1000,3** | **-4,7** |
| **27** | **სოციალური უზრუნველყოფა** | **50,0** | **29,9** | **-20.1** |
| **28** | **სხვა ხარჯები** | **1680,0** | **1523,7** | **-156,3** |
| 282115 | მათ შორის, ბიუჯეტში გადასახდელები | 1500,0 | 1443,3 | -56,7 |
| **31** | **არაფინანსური აქტივები** | **230,0** | **159,9** | **-70,1** |
| **33** | **ვალდებულებების კლება** | **0,7** | **0,7** | |
| **გადასახდელების ჯამი** | | **8042,4** | **7631,9** | **-410.5** |



# სტატისტიკური მონაცემები/ 2015

## სასაქონლო ნიშანი

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი | 1092 |
| ეროვნული/უცხოური | 722 |
| საერთაშორისო | 3437 |
| **სულ** | **5251** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| **კოდი** | **რაოდენობა** |
| GE | 1092 |
| US | 555 |
| DE | 342 |
| RU | 338 |
| CH | 332 |
| TR | 306 |
| CN | 209 |
| IT | 176 |
| FR | 183 |
| HU | 217 |
| სხვა | 1501 |
| **სულ** | **5251** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 5 | 1304 |
| 35 | 915 |
| 9 | 644 |
| 30 | 604 |
| 3 | 496 |
| 25 | 340 |
| 33 | 401 |
| 41 | 322 |
| 29 | 296 |
| 32 | 273 |
| 16 | 241 |
| 42 | 265 |



| შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| კლასი | რაოდენობა |
| 35 | 359 |
| 5 | 208 |
| 33 | 209 |
| 30 | 136 |
| 43 | 81 |
| 32 | 68 |
| 29 | 86 |
| 36 | 51 |
| 41 | 50 |
| 16 | 15 |
| 44 | 48 |
| 9 | 31 |
| 25 | 28 |
| 38 | 33 |
| 3 | 16 |
| 37 | 41 |
| 39 | 28 |
| 31 | 36 |
| 34 | 17 |




| რეესტრში შეტანილი ნიშნების რაოდენობა | |
|---|---|
| პროცედურა | რაოდენობა |
| ეროვნული/ადგილობრივი | 452 |
| ეროვნული/უცხოური | 639 |
| საერთაშორისო | 3278 |
| **სულ** | **4369** |




| რეესტრში შეტანილი ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| კოდი | რაოდენობა |
| GE | 452 |
| US | 499 |
| DE | 299 |
| CH | 273 |
| RU | 376 |
| TR | 334 |
| IT | 200 |
| FR | 189 |
| CN | 194 |
| სხვა | 1553 |
| **სულ** | **4369** |




| რეესტრში შეტანილი ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| კლასი | რაოდნობა |
| 5 | 1174 |
| 35 | 657 |
| 9 | 546 |
| 3 | 438 |
| 30 | 426 |
| 25 | 351 |
| 41 | 255 |
| 29 | 253 |
| 16 | 245 |
| 42 | 247 |
| 32 | 237 |
| 33 | 272 |
| 12 | 233 |



| რეესტრში შეტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 35 | 125 |
| 5 | 69 |
| 33 | 86 |
| 30 | 26 |
| 36 | 32 |
| 32 | 32 |
| 29 | 29 |
| 41 | 16 |
| 43 | 32 |
| 16 | 17 |
| 25 | 21 |
| 9 | 22 |
| 44 | 24 |
| 38 | 21 |




| საერთაშორისო რეგისტრაციით (მადრიდის ოქმი) გავრცელებული ადგილობრივი ნიშნები | | |
|---|---|---|
| **N** | **ნიშანი** | **მფლობელი/განმცხადებელი** |
| 1232336 | SAMADLO | შპს „ყვარლის ღვინის კომპანია |
| 1236120 | INDIAN STRONG | შპს" გეოდისტრიბუცია'' |
| 1236662 | DAVID IVERIELI | შპს "Bolero & Company" |
| 1237834 | TAMARANI | შპს. „თამარანი“ |
| 1238308 | RTVELI | შპს ,,ტიფლისსკი ვინნი პოგრებ" |
| 1239092 | MTEVANI | შპს ,,ტიფლისსკი ვინნი პოგრებ" |
| 1239480 | VITOVT. | შპს „გუგული“ |
| 1239769 | WILDER ENERGY DRINK | სს „ქართული ლუდის კომპანია“, |
| 1239823 | VAZIS VELI | ნოდარ ესიავა, ბესარიონ სურმავა |
| 1240727 | Heart of Aragvi | შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ |
| 1242127 | KAHIPARI MARANI | შპს „ ვაინმენ შპს” |
| 1242128 | SALAMURI | შპს „ ვაინმენ შპს” |
| 1242129 | TASI | შპს „ ვაინმენ შპს” |
| 1243440 | KVEVRI | შპს ,,ტიფლისსკი ვინნი პოგრებ" |
| 1247751 | KARTULI VAZI | შპს ,,ტიფლისსკი ვინნი პოგრებ" |
| 1248422 | BOOM FIRE | შპს SAH&Co |
| 1251120 | AKIDO | შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“ |
| 1251455 | GODORI | "შპს „კორპორაცია ქართული ღვინო“ |
| 1254454 | Didebuli | სს „თბილღვინო“ |
| 1255839 | Adaptol | შპს „ავერსი-ფარმა“ |
| 1257080 | BOOM BEST | შპს SAH&Co |
| 1259231 | ERISIONI | ელდარ იუკურიძე შპს ”შაბო-ჯორჯია" |
| 1265839 | Domain la NINA | შპს "Nina Ananiashvili & Wine Art" |
| 1265840 | Domain Mon Georges | შპს "Nina Ananiashvili & Wine Art" |
| 1265841 | Domain st. Gregoire | შპს "Nina Ananiashvili & Wine Art" |
| 1265842 | Domain st. Helene | შპს "Nina Ananiashvili & Wine Art" |
| 1268682 | TIFFANY | ნუგზარ შველიძე |
| 1273450 | GMB | შპს „დუთი ფრი ინთერნეიშენალ“ |
| 1275672 | DAMANI | სს "თელავის ღვინის მარანი" |
| 1275673 | LADANA | სს "თელავის ღვინის მარანი" |
| 1275674 | TANADI | სს "თელავის ღვინის მარანი" |
| 1279022 | LUCA POLARE | შპს "ჯი და ჯი ქოოფერეიშენ" |
| 1279978 | ELIBO | შპს "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" |

# გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/გეოგრაფიული აღნიშვნა | 4 |
| ეროვნული/ ადგილწარმოშობის დასახელება | 0 |
| საერთაშორისო (ლისაბონის შეთანხმება) | 64 |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება | 52 |
| **სულ** | **120** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 30 | 2 |
| 31 | 1 |
| 14 | 1 |
| 32 | 1 |
| 29 | 10 |
| 30 | 42 |
| 31 | 6 |
| 33 | 7 |
| 27 | 9 |
| 29 | 1 |
| 33 | 51 |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა გამოყენების უფლებაზე დასახელებების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| ახაშენი | 4 |
| ბორჯომი | 1 |
| გურჯაანი | 2 |
| ვაზისუბანი | 3 |
| კახეთი (კახური) | 1 |
| კახური | 0 |
| მანავი | 1 |
| მიტარბი | 1 |
| მუკუზანი | 5 |
| ნაბეღლავი | 1 |
| ნაფარეული | 3 |
| ნაფარეული (წითელი) | 1 |
| ტვიში | 2 |
| ქინძმარაული | 6 |
| ყვარელი | 2 |
| წინანდალი | 6 |
| ჭაჭა | 1 |
| ხვანჭკარა | 6 |



| საერთაშორისო პროცედურით (ლისაბონის შეთანხმება) შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნებისა და კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|
| **კოდი** | **კლასი** | **რაოდენობა** |
| CR | 29 | 1 |
| CU | 33 | 1 |
| IR | 27 | 10 |
| IT | 29 | 42 |
| IT | 30 | 6 |
| IT | 31 | 7 |
| IT | 33 | 8 |
| MK | 14 | 1 |




| რეესტრში შეტანილი გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 14 | 1 |
| 19 | 1 |
| 20 | 2 |
| 27 | 11 |
| 29 | 21 |
| 30 | 1 |
| 31 | 1 |




| რეესტრში შეტანილი განაცხადების რაოდენობა ადგილწარმოშობის დასახელებების გამოყენების უფლებაზე დასახელებების მიხედვით | |
|---|---|
| ახაშენი | 4 |
| ბორჯომი | 1 |
| გურჯაანი | 2 |
| ვაზისუბანი | 3 |
| კახეთი (კახური) | 1 |
| კახური | 0 |
| მანავი | 1 |
| მიტარბი | 1 |
| მუკუზანი | 5 |
| ნაბეღლავი | 1 |
| ნაფარეული | 3 |
| ნაფარეული (წითელი) | 1 |
| ტვიში | 2 |
| ქინძმარაული | 6 |
| ყვარელი | 2 |
| წინანდალი | 6 |
| ჭაჭა | 1 |
| ხვანჭკარა | 6 |




| საერთაშორისო პროცედურით (ლისაბონის შეთანხმება) რეესტრში შეტანილი გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების რაოდენობა ქვეყნებისა და კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|
| **კოდი** | **კლასი** | **რაოდენობა** |
| IR | 20 | 1 |
| IR | 27 | 11 |
| IT | 29 | 21 |
| IT | 30 | 1 |
| IT | 31 | 1 |
| SK | 14 | 1 |
| SK | 19 | 1 |
| SK | 20 | 1 |



# დიზაინი

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი | 20 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი | 33 |
| ეროვნული/უცხოური | 13 |
| საერთაშორისო | 262 |
| **სულ** | 328 |




| შემოსული უცხოური განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| **კოდი** | **რაოდენობა** |
| AM | 4 |
| TR | 3 |
| UA | 2 |
| RU | 1 |
| PA | 2 |
| CY | 1 |
| **სულ** | 13 |




| შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 19 | 17 |
| 9 | 13 |
| 32 | 5 |
| 25 | 4 |
| 6 | 3 |
| 10 | 2 |
| 1 | 1 |
| 3 | 1 |
| 5 | 1 |
| 7 | 1 |
| 14 | 1 |
| 20 | 1 |
| 21 | 1 |
| 26 | 1 |
| 31 | 1 |



| შემოსული უცხოური განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| კლასი | რაოდენობა |
| 9 | 5 |
| 32 | 5 |
| 19 | 1 |
| 27 | 1 |
| 1 | 1 |




| შემოსული საერთაშორისო განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| კლასი | რაოდენობა |
| 10 | 128 |
| 9 | 26 |
| 11 | 25 |
| 2 | 12 |
| 3 | 10 |
| 13 | 8 |
| 32 | 8 |
| 19 | 4 |
| 26 | 4 |
| 1 | 4 |
| 7 | 4 |
| 25 | 4 |
| 6 | 3 |
| 12 | 3 |
| 15 | 3 |
| 21 | 3 |
| 23 | 3 |
| 8 | 2 |
| 20 | 2 |
| 28 | 2 |
| 24 | 2 |
| 14 | 1 |
| 18 | 1 |




| რეესტრში შეტანილი დიზაინის განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| პროცედურა | რაოდენობა |
| ეროვნული/ადგილობრივი/იურ.პირი | 12 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ფიზ.პირი | 29 |
| ეროვნული/უცხოური | 13 |
| საერთაშორისო | 234 |
| **სულ** | 288 |



| რეესტრში შეტანილი უცხოური დიზაინის განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| **კოდი** | **რაოდენობა** |
| AM | 3 |
| RU | 2 |
| KP | 2 |
| PA | 2 |
| UA | 1 |
| CY | 1 |
| CA | 1 |
| GB | 1 |
| **სულ** | 13 |




| რეესტრში შეტანილი ადგილობრივი დიზაინის განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 9 | 10 |
| 19 | 7 |
| 32 | 6 |
| 6 | 4 |
| 26 | 2 |
| 1 | 2 |
| 3 | 1 |
| 5 | 1 |
| 7 | 1 |
| 12 | 1 |
| 14 | 1 |
| 17 | 1 |
| 20 | 1 |
| 21 | 1 |
| 25 | 1 |
| 31 | 1 |




| რეესტრში შეტანილი უცხოური დიზაინის განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით | |
|---|---|
| **კლასი** | **რაოდენობა** |
| 9 | 8 |
| 19 | 2 |
| 32 | 2 |
| 27 | 1 |



# გამოგონება

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი | 19 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი | 79 |
| ეროვნული/უცხოური | 2 |
| საერთაშორისო | 171 |
| **სულ** | **271** |




| შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით | |
|---|---|
| **დარგი** | **რაოდენობა** |
| A | 39 |
| B | 17 |
| C | 14 |
| D | 0 |
| E | 12 |
| F | 7 |
| G | 5 |
| H | 4 |




| შემოსული უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით | |
|---|---|
| **დარგი** | **რაოდენობა** |
| A | 80 |
| B | 7 |
| C | 72 |
| D | 0 |
| E | 5 |
| F | 1 |
| G | 5 |
| H | 3 |



| შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით | |
|---|---|
| **კოდი** | **რაოდენობა** |
| GE | 98 |
| US | 52 |
| JP | 7 |
| DE | 11 |
| FR | 6 |
| IT | 19 |
| GB | 5 |
| **სხვა** | 73 |
| **სულ** | 271 |




| რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/ იურ.პირი | 3 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ ფიზ.პირი | 58 |
| ეროვნული/უცხოური | 14 |
| საერთაშორისო | 131 |
| **სულ** | **206** |




| ძალადაკარგული პატენტების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი | 45 |
| ეროვნული/უცხოური | 11 |
| საერთაშორისო | 51 |
| **სულ** | 107 |



# სასარგებლო მოდელი

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/იურ.პირი | 1 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ფიზ.პირი | 59 |
| ეროვნული/უცხოური | 3 |
| საერთაშორისო | 5 |
| **სულ** | **68** |




| **შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით** | |
|---|---|
| **დარგი** | **რაოდენობა** |
| A | 24 |
| B | 8 |
| C | 7 |
| D | 0 |
| E | 11 |
| F | 6 |
| G | 4 |
| H | 0 |




| **რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა** | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ეროვნული/ადგილობრივი/იურ.პირი | 3 |
| ეროვნული/ადგილობრივი/ფიზ.პირი | 36 |
| ეროვნული/უცხოური | 1 |
| საერთაშორისო | 1 |
| **სულ** | **41** |



# ახალი ჯიშები

| შემოსული განაცხადების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ადგილობრივი/იურ.პირი | 0 |
| ადგილობრივი/ფიზ.პირი | 9 |
| უცხოური/იურ.პირი | 15 |
| უცხოური/ფიზ.პირი | 0 |
| **სულ** | **24** |




| შემოსული განაცხადების რაოდენობა კულტურების მიხედვით | |
|---|---|
| **ჯიში** | **რაოდენობა** |
| ხორბალი | 2 |
| კარტოფილი | 15 |
| ლობიო | 2 |
| ბროკოლი | 1 |
| თუთის აბრეშუმხვევია | 4 |




| რეესტრში შეტანილი ჯიშების რაოდენობა | |
|---|---|
| **პროცედურა** | **რაოდენობა** |
| ადგილობრივი/იურ.პირი | 1 |
| ადგილობრივი/ფიზ.პირი | 5 |
| უცხოური/იურ.პირი | 42 |
| უცხოური/ფიზ.პირი | 0 |
| **სულ** | 48 |




| რეესტრში შეტანილი ჯიშების რაოდენობა კულტურების მიხედვით | |
|---|---|
| **ჯიში** | **რაოდენობა** |
| მზესუმზირა | 11 |
| სიმინდი | 33 |
| ბულგარული | 1 |
| პომიდორი | 1 |
| წიწაკა | 3 |
| ხორბალი | 1 |



# სამოქმედო გეგმა/ 2016

- ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლება (EUIPO, EPO, USPTO/CLDP)
- ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები მოსამართლეებისთვის, იურისტებისთვის, ჟურნალისტებისთვის (CLDP)
- ინტელექტუალური საკუთრების კურსი მცირე და საშუალო ბიზნესის, მკვლევარების, მეცნიერების, ადვოკატების, პატენტრწმუნებულების, მოსწავლეების და თანამშრომლებისთვის
- გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის საკითხებზე ფერმერთა, მწარმოებელთა, მომხმარებელთა, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა (oriGIn Georgia)
- ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრის ტრენერების ტრენინგი, 4 ეტაპი (WIPO)
- სასწავლო ცენტრის ვიდეო კონფერენციის აპარატურით აღჭურვა (USAID)
- მასწავლებლების გადამზადება გამომგონებლობის სწავლებაში (WIPO)
- საკითხავი ლიტერატურის გამოცემა II-VI კლასის მოსწავლეებისთვის გამოგონებებზე, სასაქონლო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე, დიზაინზე (G-Pried)
- WIPO-ს პუბლიკაციების თარგმნა და გამოცემა
- ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქართველი ავტორების და თარგმნილი წიგნების გამოცემა
- ინტელექტუალური საკუთრების სტრატეგიის შემუშავებაში დახმარება უნივერსიტეტებისთვის
- საგამომგონებლო ცენტრის შექმნა ქუთაისში, მუნიციპალიტეტის დახმარებით
- რეგიონებში პოტენციური გეოგრაფიული აღნიშვნების წარმოჩენა და მათი სამართლებრივი დაცვის ხელშეწყობა (oriGIn Georgia)
- გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული პროდუქციის დადგენილ სპეციფიკაციებთან შესაბამისობის მრავალდონიანი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა (oriGIn Georgia)
- გეოგრაფიული აღნიშვნების მუზეუმის დაარსება (oriGIn Georgia)
- გეოგრაფიული აღნიშვნების გარშემო ფერმერთა და მწარმოებელთა გაერთიანებების შექმნაში მონაწილეობა და მათ საქმიანობაში ბრენდინგის თანამედროვე ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობა (oriGIn Georgia)
- EFTA-ს წევრ ქვეყნებთან გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმებების გაფორმებაზე მოლაპარაკებები
- კონფერენცია „ინტელექტუალური საკუთრების თანამედროვე გამოწვევების შესახებ" (WIPO)
- კონფერენცია „IP მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის"(WIPO)
- კონფერენცია „ბრენდინგის თანამედროვე მექანიზმები" (WIPO)
- კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ" (ICC Georgia, GIZ)
- ახალი სასაქონლო ნიშნების და დიზაინების ინსტრუქციის შემუშავება (EUIPO)
- საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა
- WIPO-ს უფლებების აღსრულების კომიტეტზე მოხსენება „საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ"
- EUIPO-ს გენერალური დირექტორის ვიზიტი საქართველოში
- EUIPO-ს დავების განმხილველ საბჭოსთან თანამშრომლობა
- EPO-თან მოლაპარაკებები ვალიდაციის ხელშეკრულებაზე
- EPO-ს წევრ ქვეყნებთან ორმხრივი შეხვედრები
- სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობა
- განაცხადების შეტანის ელექტრონული სისტემის სრულყოფა (USAID)
- დოკუმენტბრუნვის პროგრამის შექმნა (USAID)
- ოფიციალური ვებ-გვერდის განახლება (USAID)
- EUIPO-ს ვებ-გვერდზე საძიებო სისტემების TM-View და Design-View ქართული ვერსიის შექმნა

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის - საქპატენტი პოლიგრაფია
0179, თბილისი, საქართველო, ნ. რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge